# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 22 ივნისი 2007 №141 (3064) ფასი 50 თეთრი


## იტალიური ჭუჭყი

### ახალი კალჩოპოლი ინტერს ემუქრება: ფულადი ჯარიმა, სკუდეტო და სერია B




## ქართული ძიუდოს ტრაგედია

### ავარიამ ორი სპორტსმენის სიცოცხლე შეიწირა...

ტრაგედიამ შეიწირა ორი ქართველი სპორტსმენის სიცოცხლე. გუშინ საგარეჯოს შესასვლელთან ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ ძიუდოისტები, ალეკო ბითარიშვილი და მალხაზ კუმლაძე — ორივე 20 წლის.

ყვარელში ტურნირი უნდა ჩატარებულიყო და ყველა კახეთში მიიჩქაროდა: სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები თუ უბრალო გულშემატკივრები. კუმლაძე და ბითარიშვილიც ტატამზე უნდა გასულიყვნენ...

„მანქანას, რომელშიც ისხდნენ, უკან მივყვებოდი და ტრაგედიაც ჩემ თვალწინ მოხდა — გვითხრა ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა — სხვა ძიუდოისტებიც იქვე გაჩნდნენ და ბიჭები მანქანიდან სასწრაფოდ გამოვიყვანეთ. სამწუხაროდ, ბითარიშვილი შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა, კუმლაძე კი მოგვიანებით გარდაიცვალა. ეს ორი წინ ისხდა. უკან მსხდომები, გიორგი შოშიაშვილი, არსენ მაჭარაშვილი და ლევან შერმადინი კი ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. სამივეს სხეულის სერიოზული დაზიანებები აქვთ, მაგრამ, რაც მთავარია, მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება."

გარდაცვლილი ძიუდოისტები ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები იყვნენ. კუმლაძემ შარშან სამბისტთა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის ალებაც მოახერხა.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკრძალვის თუ მკურნალობის ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო გაიღებს. ყვარელში ჩასატარებელი ტურნირი კი, რაღა თქმა უნდა, ჩაიშალა.

ოთარ მალლაძელიძე



ვასილ გიგიაძე უკრაინის საუკეთესო თავდამსხმელია!

## სამხრეთ ამერიკის საკლუბო თავი

### ბოკა ხუნიორსი მეექვსედ!




AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბორის პოკერი

## ოვონოც აქ არის: დინამოს ახალი უცხოელი შეემატა



**თბილისის** „დინამო“ ბაკურიანში ერთკვირიანი შეკრება მოილია და გუშინ დილის საწვრთნელ ბაზაზე ორმხრივი მატჩი ითამაშა. „დინამოს“ თავკაც დუშან უჰრინს საქმეში იმ ფეხბურთელთა ნახვაც სურდა, რომლებიც წინა სეზონში გუნდს განათხოვრებული ჰყავდა და იმათიც, რომლებიც გუნდში გასასინჯად არიან.

დუშან უჰრინმა სამწყსო შავ-თეთრებად გაჰყო და ლაშა სილაგავას მსაჯობით ისინი ერთმანეთში ათამაშა. მატჩი „შავებმა“ 4:1 მოიგეს.

აღსანიშნია, რომ მოგებულთაგან ოთხივე გოლი ბორის გონჩაროვმა გაიტანა, ვინც გუნდს გორის „დილაში“ ჰყავდა განათხოვრებული, ადრე კი იმ „დინამოში“ თამაშობდა, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე რომ გავიდა.

გონჩაროვის გარდა კი უჰრინის თვალწინ უჩა ლობჟანიძემაც ითამაშა — განათხოვრებით ის ბოლოს „ბათუმში“ იყო. წაგებულთაგან კი კინკილა გოლი ჩერნიგორიელმა ილია სპასოევიჩმა გაიტანა.

გუშინ „დინამოს“ მაისურით პირველად ითამაშეს 23 წლის კამერუნელმა თავდამსხმელმა რაიმონდ ვოუკოუემ და გამთენიისას ჩამოსულმა გაბონელმა დიდიე ოვონომ. ის 24 წლისაა, 189 სანტიმეტრი სიმაღლის მეკარეა და რეგულარულად თამაშობს თავისი ქვეყნის ნაკრებში.

— საქართველოზე ჩვენი ნაკრების მწვრთნელისგან, ალენ ჟირესისგან შევიტყვე, აქ ძალიან თბილი ხალხი და გემრიელი სამზარეულოა. საუკეთესო გუნდი კი თბილისის „დინამოა“. ნაკრების მწვრთნელის სიტყვას ვენდობი და ამიტომაცვარ ახლა აქ. ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ ჟირესმა სათამაშოდ მართლაც კარგი ქვეყანა და გუნდი მირჩია. აქამდე სალვადორში ვიყავი — ასეთია ოვონოს აზრი აქაურობაზე.

ოვონომ, მწვრთნელებისა რა გითხრათ, მაგრამ, ზოგადად, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აი, მეორე ახალმა ლეგიონერმა ვოუკოუემ კი შეხვედრის დასაწყისშივე მიიქცია დამსწრეთა ყურადღება — სხარტი და ტექნიკური ფორვარდი ჩანს, რომელმაც ფლანგიდან მწვავე ჩაწოდებებიც იცის.

„დინამოში“ ისინჯებიან ასევე 19 წლის ტყუპები ვალტერ და პავლე ხორგუაშვილები. ისინი წინა სეზონში მოლდოვაში იყვნენ, ერთი „შერიფში“ თამაშობდა, მეორე — „ტირასპოლში“. „დინამოშია“ ვიტეპორჯიელი ოლეგ გველესიანიც, თუმცა კლუბს მასთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია...

— ყველა ახალ თუ დაბრუნებულ ფეხბურთელზე ჯერჯერობით ნორმალური შთაბეჭდილება მაქვს — თქვა ტესტ-მატჩის შემდეგ „დინამოს“ მწვრთნელმა — ამ და სხვა ფეხბურთელებსაც კიდევ დავაკვირდები და გამოადგებიან თუ არა ისინი „დინამოს“, მოგვიანებით გეტყვით.

მოგვიანებით კი, უფრო ზუსტად, 26 ივნისიდან „დინამო“ გერმანულ შეკრებაზე მიდის. როგორც გუნდის პრესსამსახურის უფროსმა გიგა გვენცაძემ გვითხრა, „დინამოს“ ახალი ფეხბურთელები, შესაძლოა, თბილისშიც შეუერთდნენ და გერმანიაშიც.

გერმანიაში წასვლამდე კი დინამოელები ორ ამხანაგურ მატჩს თბილისში ითამაშებენ — 23-ში „ლოკომოტივთან“, 25-ში კი „ამერთან“.

**ძოგა ინასარიძე**





# დინამომ აკადემია მოიგო

**ყოჩაღ** თბილისის „დინამოს“ — ამ კლუბის აკადემიის 1990, 91, 92 და 93 წლებში დაბადებულმა ჭაბუკმა ფეხბურთელებმა თავთავიანთი ასაკის ბავშვებში სუპერთასი მოიგეს.

ამ წარმატებების აკორდი ის იყო, რომ გუშინ 14-წლის დინამოელებმა 35-ე საფეხბურთო სკოლელი თანატოლები 2:1 დაამარცხეს და კლუბის აკადემიის კოლექცია მორიგი თასით გაამდიდრეს.

აღვნიშნოთ, რომ თბილისის „დინამოს“ აკადემიის მთავარი მწვრთნელი დავით კველიშვილია, ხოლო — სელექციონერი თემურ უგრეხელიძე.

**ლუკა თალაკვაძე**



# დრო ჩვენზე თამაშობს

## დოლიძეს და ამერს სტიმული გაუასმაგდათ

თბილისის „ამერის“ მარჯვენა ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძე საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ერთ-ერთი იმათგანია, ვისზეც ამბობენ, ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას იმსახურებსო. დოლიძე რომ ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია, გუშინწინ „დიას“ გალა-დაჯილდოებაზეც გამოჩნდა — ჟურნალისტებმა ამერელი საუკეთესო ნახევარმცველად დაასახელეს...

— „დიაზე“ საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი დაიმსახურე...

— ძალიან გამიხარდა, საუკეთესო რომ გავხდი. კარგი საღამო იყო, რისთვისაც მადლობას ვუხდი პროფესიულ ფეხბურთის ლიგას და ყველას, ვინც ამაში მონაწილეობდა. კარგი იქნება, ასეთი საღამოები თუ გაიმართება. ეს ქართულ ფეხბურთს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

— შენთვის რომ ეკითხათ, საუკეთესო ნახევარმცველად ვის დაასახელებდი?

— დავით ბოლქვაძეს.

— ხუთი ნომინაციიდან სამში ამერელებმა იმარჯვეთ. ეს წარმატება რას ნიშნავს თქვენთვის?

— ეს „ამერს“ პრესტიჟს მატებს და უფრო მეტი წარმატებისკენ სწრაფვის სტიმულს გვაძლევს.

— „დიამდე“ იყო „სარბიელის“ გამოკითხვა, სადაც ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში ჟურნალისტებმა მესამე ადგილი გარგუნეს...

— არც ესაა ურიგო შედეგი. მომავალში ვეცდები, თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესო და დანარჩენი მერე ვნახოთ...

— როგორ ფიქრობ, გასული სეზონი შენთვის საუკეთესო იყო?

— პირველი წრე ნამდვილად საუკეთესოდ შემიძლია ჩავთვალო, რასაც მეორეზე ვერ ვიტყვი. მაგრამ ჩემს შეცდომებს ვაანალიზებ და მომავალში ასეთი რამ აღარ მოხდება.

— „ამერს“ საკმაოდ წარმატებული სეზონი ჰქონდა — მოიგეთ „ფოლკსვაგენის“ სუპერთასი და საქართველოს თასი, ჩემპიონატში კი მესამე ადგილზე გახვედით...

— „ამერი“ რამდენიმე წლის გუნდია და, რაც დრო გადის, მეტ ტიტულს ვიგებთ. სამწუხაროდ, ჩემპიონები ვერ გავხდით, მაგრამ სეზონი წარუმატებელი იყოო, ვერ ვიტყვი.

— მომავალ სეზონში რა მიზანს ისახავთ?

— ჩვენ ყოველთვის მაქსიმუმის მიღწევას ვცდილობთ და მომავალშიც ასე იქნება — ჩემპიონობა და თასი.

— შარშან „ამერმა“ უეფას თასზე საკმაოდ ნორმალურად ითამაშა. მალე ისევ მოგიწევთ ამ ევროტურნირზე თამაში და რას უნდა ელოდოს ქომაგი?

— ჩვენი მიზანი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა იქნება და ვნახოთ, რა გამოგვივა...

— „ამერის“ ბორჯომულ შეკრებაზე რას იტყვი?

— ნაყოფიერი მზადებაა. დილით ფიზიკური ვარჯიში გვაქვს, საღამოს ბურთთან ვართ. 27 ივნისს კი ჩეხეთში მივდივართ, სადაც საკონტროლო მატჩებსაც გავმართავთ.

**ნუკრი ლოლაძე**

### ნორვეგია

ტიპელიგა
XI ტური

სტარტი 1:2 ოდ გრენლანდი
რუსენბორგი 1:1 ლილესტრიომი

### შვედეთი

სუპერეტა. XI ტური

ლიუნგსკილე 2:0 იოსტერსი
დეგერფორსი 1:1 ფალკენბერგი
იონკოპინგი 1:1 ლანდსკრონა

### ამხანაგური მატჩები

ინდონეზია 2:1 იამაიკა
ტიროლი 0:2 ლუშტენაუ

### იტალია

სერია B. პლეი აუტი
საპასუხო მატჩი

ვერონა 0:0 *სპეცია* (1:2)

### ევრო 2007. ოლიმპიადაზე გასასვლელი პლეი ოფი

პორტუგალია U21 0:0 დ.დ.(3:4პ) *იტალია U21*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარი? რა თქმა უნდა, ასკა!







**შარშანდელი** 23 სექტემბ-რიდან მოყოლებული, მალხაზ ასათიანმა გუშინწინ პირველად ითამაშა ფეხბურთი. ის მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე, „ლოკომოტივმა" კი „ამკართან" წააგო.

ამის მიუხედავად, „ლოკომოტივის" ფანობა გახარებული დარჩა: შესვენებაზე ასათიანის მოთელვაზე გამოჩენას დიდი ხმაური და გულიანი მისალმებანი მოჰყვა.

„ასკა" ძალიან აკლდა თავის კლუბს, მაგრამ ყველამ ვიცით, როგორ აკლდა ის საქართველოს ნაკრებს და როგორ ენატრებოდათ ის ჩვენს გულშემატკივრებს. როცა ასათიანი მინდორზე გყავს, ყოველთვის რაღაცის იმედი გაქვს. ეს ასეა და ყველამ იცის.

ნაკრები კი „ასკასაც" ძალიან მონატრებია ნაკრები. ცხრა თვე ძალიან დიდი დროა: ეს გაცდენილი სეზონია. ასათიანს ტრავმები არასდროს აკლდა, მაგრამ ეს ბოლო ნამეტანი იყო: სრულიად ვირული და დაუნდობელი.

ეგებ ბედმა ამიერიდან მაინც დაინდოს „ასკა" და მაშინ ნაკრებშიაც ბევრი რამ უკეთ იქნება. ნამდვილად უკეთ. ასათიანის ნამდვილი თამაში ხომ გამორიცხავს უსახურობას და უძლურობას...

**ირაკლი გამყრელიძე**

# კანდელაკი და კარლ ცაისი: გადაწყდა, ბეჭედიღა აკლია



**„კარლ ცაისი"** გიორგი ლომაიამ და მიხეილ აშვეთიამ კი დატოვეს, მაგრამ იენის გუნდი უქართველოდ არ დარჩება: შეგვიძლია, ილია კანდელაკი უკვე კარლცაისელად ჩავთვალოთ.

24 წლის მცველს გუშინ ოდესაში დავუკავშირდით და გვითხრა, დღე-დღეზე „ჩერნომორეციდან" გათავისუფლების ფურცელს ავიღებ და 1 ივლისს იენაში ვიქნებიო.

„ამ სეზონში „ჩერნომორეცში" ვერ ამეწყო საქმე, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ადრევე მითხრა, თუ წინადადებები გექნება, ხელს არ შეგიშლითო. „ჩერნომორეცში" მწვრთნელის და ახალი სპონსორის საკითხი წყდება, რაღაც შეიძლება შეიცვალოს და იმიტომაც ვარ აქ. ეგ კი ნაღდად ვიცი, რომ „კარლ ცაისთან" მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებაღა მაკლია".

კანდელაკმა გვითხრა, „კარლ ცაისს" ყველაფერზე შევუთანხმდი, მათ ჩემი გამოსასყიდი თანხა უკვე გამზადებული აქვთო.

ილია შარშანწინ ზაფხულს მივიდა „ჩერნომორეცში" და პირველი სეზონის შემდეგ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს, თუმც ბოლო თვეებში ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა — მეორე წრეში თითქმის არ უთამაშია. შესაბამისად, კანდელაკს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც აღარ იძახებდა.

„მეორე წრეში „ჩერნომორეცის" დუბლებში ვითამაშე ორი მატჩი. ასე ვთქვათ, თავს დასვენების უფლება მივეცი".

შესაძლოა, კანდელაკი „კარლ ცაისში" ეული ქართველი არც იყოს. როგორც იცით, ამ გუნდში გადასვლის შანსი აქვთ რუსთავის „ოლიმპის" მცველებს — გიორგი ონიანს და გიორგი სეთურიძეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# გიორგი სეთურიძის გერმანია და უკრაინა

## ან ოლიმპი და ჩემპიონთა ლიგა




**„სარბიელის"** ტრადიციული გამოკითხვის შედეგად რუსთავის ოლიმპელი მცველი გიორგი სეთურიძე მხოლოდ დინამოელ სანდრო იაშვილს ჩამორჩა.

„ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონი რომ გახდა, დიდი წვლილი სეთურიძესაც მიუძღვის. იგი კარიერის გაგრძელებას უცხოეთში აპირებს...

— ჯერჯერობით, ისევ „ოლიმპში" ვვარჯიშობ. ამ თვის ბოლოს ალბათ გერმანიაში წავალ და „კარლ ცაისს" კონტრაქტის თაობაზე მოველაპარაკები. უკრაინული ვარიანტიც მქონდა, მაგრამ რომელი კლუბია ვერ გეტყვით, ჩემმა აგენტმა მამუკა ჯუღელმა იცის. ისე, არ გამოვრიცხავ, „ოლიმპს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე დავეხმარო და მერე წავიდე".

**ნუკრი ლოლაძე**

**შოთა არველაძეს** რუსები პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად თვლიან და, ცხადია, ასეცაა. გაზეთ „სარბიელის" გამოკითხვით, 2006-07 წლების საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის კარგი თამაში არც რუს ჟურნალისტებს ტოვებს გულგრილად და შოთასაც „სპორტ-ექსპრესმა" ინტერვიუ სთხოვა...



# რუსეთისთვის ასაკი არ მაქვს

## არველაძეს მოსკოვიც უნდა

— „ალკმაარი", რომლის ბომბარდირი გახდით 23 ბურთით, ახლოს იყო ჰოლანდიის ჩემპიონობასთან, მაგრამ ბრინჯაოს დაჯერდით. შემდეგ კი „აიაქსთან" თასის ფინალიც წააგეთ და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც. რით ახსნით ფინიშზე ასეთ წარუმატებლობას?

— საწყენია, რომ ეს ტიტულები ხელიდან გავუშვით. ახსნა ალბათ ძნელი იქნება. მთელი სეზონი შესანიშნავად ვითამაშეთ, მაგრამ მიზნის მისაღწევად რაღაც დაგვაკლდა, სადღაც არ გაგვიმართლა... სწორედ ამაშია ფეხბურთის მთელი ხიბლი, რომ ძნელადპროგნოზირებადია, ალბათ ამიტომაც უყვარს ხალხს.

— ჰოლანდიელ ჟურნალისტებთან საუბარში ლუის ვან გაალმა აღნიშნა, რომ ფეხბურთელებთან არანაირი პრეტენზია არ აქვს. სამაგიეროდ, არაადეკვატურად მოიხსენია მსაჯები და პატარა კლუბები. თქვენ რა აზრის ხართ ამის თაობაზე?

— ბოლო ტურში, „ექსელსიორთან" მატჩში, მსაჯმა ჩვენი მეკარე გააგდო და პენალტი დაგვინიშნა. თასის ფინალში კი „აიაქსს" აშკარად ვაჯობეთ, მსაჯმა გოლი არ ჩაგვითვალა, ამასთან, რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო. საერთო ჯამში, მსაჯობა იდეალური არ იყო, მაგრამ ვერ ვხედავ მიზეზს, ჩვენი უბედურება სხვას დავაბრალო. მთავარია, „ალკმაარი" ახალგაზრდული, პერსპექტიული გუნდია და მალე მიაღწევს დიდ წარმატებას.

— აპირებთ უეფას თასზე თამაშს? სხვა გუნდში გადასვლაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— უკვე თითქმის 35 წლის ვარ და თავში მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებს: ხომ არ დადგა დრო, ბუცები ჩამოვკიდო? გასულ სეზონში 28 ბურთი გავიტანე, 5 — ნაკრებში, 23 — კლუბში. „ალკმაარი" კარგ ფეხბურთს აჩვენებდა და ბოლო წუთამდე გვჯეროდა, რომ ოქროს მოვიპოვებდით. ეს იქნებოდა უდიდესი მიღწევა პატარა კლუბისა, მაშინ მართლა შეიძლებოდა, ფეხბურთს ლამაზად გამოვმშვიდობებოდი. ახლა კი დრო მაქვს, ყველაფერზე დავფიქრდე და გადაწყვეტილება მივიღო.

— ვფიქრობ, საკუთარი თამაშის უკმაყოფილო არ უნდა იყოთ...

— გულწრფელად რომ გითხრათ, გამოვა, რომ პრეტენზიები თანაგუნდელების მიმართ მაქვს. ვთვლი, რომ ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ ყველას მეტი შეეძლო.

— ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ბევრი ფეხბურთელი კარიერის ბოლოს რუსეთის პრემიერლიგაში გადადის. გიფიქრიათ ამაზე?

— რეალურად რომ ვთქვათ, რუსეთის ჩემპიონატისთვის დიდი ასაკი მაქვს.

— რას ფიქრობთ „სპორტ-ექსპრესის" მიერ დაწესებულ პრიზზე „ზვეზდა"?

— კარგი იდეაა. დარწმუნებული ვარ, არც ერთი ფეხბურთელი არ იტყვის ამ პრიზზე უარს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია თითქმის ნახევარი ევროპაა, ასე რომ, პრიზი პრესტიჟულია. საინტერესო იქნება, წლეულს ვინ აიღებს „ზვეზდას". შევჩენკო, კერჟაკოვი, კალაძე მაღალი დონის ფეხბურთელები არიან. ვფიქრობ, კახას უფრო გაუჭირდება, რადგან ამპლუით მცველია. არც ალექსანდრ გლები დავივიწყოთ. რუსეთშიც და პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც მრავლად არიან ტალანტები. ჩემი გვარი რატომ არ ვახსენე? მე ჯერ არ გადამიწყვეტია, გავაგრძელებ თუ არა კარიერას. ისე, სასიამოვნო იქნებოდა, მოსკოვში ამ პრიზისთვის ჩამოსვლა.

— კალაძეს და კერჟაკოვს თუ მიულოცეთ ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის მოგება?

— კალაძეს, რა თქმა უნდა, მივულოცე. კერჟაკოვს კი ასე ახლოს არ ვიცნობ.

— გავიგეთ, რომ სანაკრებო კარიერას ასრულებთ და ერთი კითხვა მაქვს: ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელებით რატომ ვერ მიაღწია საქართველოს ნაკრებმა რაიმე წარმატებას?

— პრობლემა ისაა, რომ მაღალი დონის ჩემპიონატებში არცთუ ბევრი ქართველი თამაშობს. როცა ტრავმის გამო კალაძე ან ასათიანი გვაკლია, ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკარგია. თუკი უზარმაზარ რუსეთში შეზღუდულია ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელის არჩევანი, რა უნდა ვილაპარაკო პატარა საქართველოზე?!

# გერმანიის ლიგის თასი ქართულად

**გერმანული** ბუნდესლიგა აგვისტოში დაიწყება, თუმც „ქართული დერბი“ ჯერ კიდევ მანამდე შედგება..

გეცოდინებათ, ბუნდესლიგის დაწყებამდე გერმანელები ლიგის თასს ათამაშებენ და სწორედ აქ ველით ლევან კობიაშვილ-ალექსანდრე იაშვილის დუელს. კენჭისყრის შედეგად „შალკე“ და „კარლსრუე“ მეოთხედფინალში 21 ივლისს შეხვდებიან ერთმანეთს, მათ შორის გამარჯვებული 24 ივლისს „ნიურნბერგს“ ეთამაშება, ხოლო ლიგის თასის ფინალი 28 ივლისს გაიმართება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ კობიაშვილი ერთხელ უკვე ფლობდა ლიგის თასს — 2005 წელს გელზენკირხენის „შალკემ“ ფინალში 1:0 დაამარცხა წლევანდელი ჩემპიონი „შტუტგარტი“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# მათე მეხუთე ლომია

**მათე ლვინიანიძე** შარშან ამ დროს გადავიდა გერმანიის მეორებუნდესლიგურ „მიუნხენ 1860“-ში და პირველ წრეში ისე ღონივრად ითამაშა, რომ ფანების გამოკითხვით, „ლომების“ საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. 19 წლის ბიჭისთვის სადებიუტო სეზონში ასეთი აღიარება საკმაო წარმატებაა...

„მიუნხენ 1860“-ის ფანებმა მეორე წრის საუკეთესო ფეხბურთელიც გამოავლინეს და ამჯერად მათე გამოკითხვაში მეხუთე ადგილზე გავიდა: ხმების 3,89 პროცენტი მიიღო. ცხადია, არც მეხუთეობაა კატასტროფული შედეგი, მით უმეტეს, ქართველმა მცველმა ტრავმის გამო თითქმის ნახევარი წრე გამოტოვა.

საუკეთესო „ლომი“ თურქი ბერქანთ გიოკტანი გახდა ხმების 47,3 პროცენტით, მის შემდეგ კი დანიელ ბაიერი (21,8), ტორბერნ ჰოფმანი (20,3) და ნემანია ვუჩიჩევიჩი (6,5) მოდიან.

**ილია ნანობაშვილი**

# ვასილ გიგიაძე უკრაინის საუკეთესო ფორვარდია!

**გაზეთ** „კომანდას“ შეფასებებით, ვასილ გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი გახდა. შეფასებები ათბალიანია და ვასოს საშუალო 6,07 გამოუვიდა.



ზუსტად 6,07-ს უწია კიევის „დინამოს“ ბრაზილიელმა კლებერმაც, თუმც ჩვენიანმა უფრო მეტი მატჩი ჩაატარა და ამით იპირველა.

გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში მხოლოდ „ხარკოვის“ ალექსანდრ გლადკის ჩამორჩა, რომელიც საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა.

შეფასებებით, „კრივბასის“ ქართველი ბომბარდირი საუკეთესო ოცდაათეულში მეთერთმეტე ადგილზე გავიდა.

ლეგიონერთა შორის კი ვასო მეშვიდეა — აღსანიშნავია, რომ საუკეთესო უცხოელთა ხუთეულში ოთხი ბრაზილიელი მოხვდა.

ისე, მართლაც უცნაურია, უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდი საქართველოს ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაშიც ვერ ხვდება...

**ილია ნანობაშვილი**

# შაშიაშვილს ვიტოვებთ

## შტურმმა ქართველი გადაწყვიტა



„**ჩვენ** უკვე ორი ფეხბურთელი დავიმატეთ — მარკო სტანკოვიჩი და სამირ მურატოვიჩი, თუმც ამით არ დავკმაყოფილდებით. ძალიან გვსურს დაცვის გაძლიერება და, სავარაუდოდ, ჩვენი მომდევნო ახალწვეული საქართველოს ნაკრები 27 წლის მცველი გიორგი შაშიაშვილი იქნება, ხოლო 31 წლის იანე ჰეიტანენს კიდევ მოუწევს თავის წარმოჩენა“ — ეს სიტყვები „შტურმის“ პრეზიდენტ ჰანს რაინერს ეკუთვნის. მისი თქმით, შაშიაშვილის „შტურმში“ გადასვლის წინ აღარაფერი უდგას.

ჩვენებური ამ ავსტრიულ კლუბში პირველი ქართველი არ იქნება. გეხსომებათ, სამარის „კრილია სოვეტოვში“ გადასვლამდე დავით მუჯირი გრაცერული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

შაშიაშვილმა ავსტრიელებს თავი ამხანაგურ მატჩში მოაწონა — „შტურმი“ ქვედალიგელ „ჰარტბერგს“ გაეჯიბრა, სადაც კიდევ ერთი ქართველი გივი ჩხეტიანი თამაშობს და 7:2 დაამარცხა. შაშიაშვილმა სრულად ითამაშა, ჩხეტიანი კი პირველი ტაიმის მერე შეცვალეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბურდული წარადგინეს

**ლუგანსკის** „ზარიას“ გულშემატკივრებს გუნდის ახალწვეული ლადო ბურდული წარუდგინეს. მისი დოსიე და კომენტარი უკრაინულმა ვებგვერდებმაც გაავრცელეს.

„ჩემი ძლიერი მხარე სისწრაფე და ტექნიკაა. შემიძლია მაღალ ბურთებზე ბრძოლაც. ძირითადად მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობ, თუმც საყრდენი ნახევარმცველობაც მიცდია...

...უკრაინაში გოლების გატანით ვერ დავიკვეხნი, საქართველოში კი ამას ხშირად ვახერხებდი. ნაკრებში სულ ორი ბურთი მაქვს გატანილი, ორივე უკრაინისთვის და ორივე ამხანაგურ მატჩში. ერთი ახალგაზრდულ ნაკრებში (1:0 მოვიგეთ), მეორე ეროვნულში (1:2 დავმარცხდით). ახლა ხომ არ გიკვირთ, რატომ. ვარ უკრაინაში?“ — აღნიშნა ბურდულმა.

შეგახსენებთ, რომ ბურდული აქამდე კრივოი როგის „კრივბასში“ თამაშობდა და სეზონის დასრულებისთანავე ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ზარიასთან“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კორღალიძემ და მიკუჩაძემ აზერბაიჯანი მოიარეს

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის მეხუთეადგილოსან „მტკ-არაზში“ ორი ქართველი ფეხბურთელი ყოფილა — ლევან კორღალიძე და აკაკი მიკუჩაძე. ისინი შეკრებაზე ახლდნენ გუნდს, თუმც უკრაინელ მწვრთნელმა იგორ ნაკონეჩნიმ ორივე გამოუშვა. როგორც შევიტყვეთ, ისინი პირობებზე ვერ შეუთანხმდნენ კლუბის ხელმძღვანელობას.

კორღალიძემ საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე ბოლნისის „სიონში“ გაატარა, კონტრაქტი ამოეწურა და ალბათ თბილისი „მერანში“ გადავა. რაც შეეხება მიკუჩაძეს, იგი ისრაელის მეორე ლიგის ბეერშევას „ჰაპოელში“ თამაშობდა და გოლებიც მრავლად გაჰქონდა, თუმც, ჩანს, „ჰაპოელში“ დარჩენა აღარ მოისურვა.

**ილია ნანობაშვილი**

# ჭელიძე და ზარია აღარ გაგრძელდება

**გიორგი ჭელიძე** მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ განათხოვრებით თამაშობდა ლუგანსკის „ზარიაში“ და იჯარის ვადა დაუმთავრდა. „პაჭელომ“ გვითხრა, დიდი შანსია, ისევ „ზარიაში“ გავაგრძელო თამაში, თუმც უკრაინული პრესის ცნობით, არც ჩვენიანმა, არც „ლოკომოტივმა“ და არც ლუგანსკურმა კლუბმა ეს არ ისურვეს.



ახლა გიორგის „ლოკომოტივთან“ მოუწევს საქმის გარკვევა — სად გააგრძელებს კარიერას, გაყიდიან თუ ისევ გაანათხოვრებენ...

**ლუკა თალაკვაძე**

# სურკისმა ქართული ტრიო დაატრანსფერა



კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი

**ოთარ მარცვალაძე,** დავით იმედაშვილი და კახა ალადაშვილი — კიევის „დინამომ“ სამივე ქართველი ტრანსფერზე დააყენა, რაც მოსალოდნელიც იყო, რაკილა მათ თითებზე ჩამოსათვლელი მატჩები თუ ჩაატარეს მთავარ გუნდში.

„დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა ჩვენიანებზე თქვა, მათით ჯერ ოფიციალურად არც ერთი გუნდი არ დაინტერესებულაო.

არც ისაა გამორიცხული, სურკისი გაყიდვის ნაცვლად გაანათხოვრებაზეც დათანხმდეს, თუმც ისე ჩანს, რომ კიეველებს ქართველი ფეხბურთელების გაყიდვა უფრო აძლევთ ხელს.

**ილია ნანობაშვილი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# იტალიამ საფრანგეთს სან სირო გაუმზადა

**8 სექტემბერს** ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის B ჯგუფის მთავარი მატჩი გაიმართება — მსოფლიოს ჩემპიონი იტალია ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთს უმასპინძლებს.

ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე არ შევჩერდებით, ყველასთვის ნათელია,ს რამხელა აჟიოტაჟს გამოიწვევს გერმანიის მუნდიალის ფინალის გამეორება.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე დაადგინა, რომელ სტადიონზე უმასპინძლებენ ფრანგებს — „სან სირო“ ამის ყველაზე რეალური ვარიანტია, თუმც იტალიური ფეხბურთის მამები ეჭვობენ, რომ შესაძლოა, 85-ათასიანმა სტადიონმა ამ მატჩზე დასწრების მსურველი გულშემატკივარი ვერ დაიტიოს.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი მუნდიალის დამთავრებიდან ორ თვეში ფრანგებმა შინ 3:1 მოიგეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სუაზო მილანში გახლართულა

დავიდ სუაზო ყველას „ინტერში“ გადასული ხომ ეგონა, მაგრამ ახლახან „მილანმა“ გამოაცხადა ჰონდურასელი მომავალი სეზონიდან შავ-წითელ მაისურას მოირგებსო, თუმცა საქმე ასე მარტივად როდი ყოფილა...

„მხოლოდ ის შემიძლია, გითხრათ, რომ სუაზო უკვე „ინტერის“ ფეხბურთელია. მასთან შეთანხმება გვაქვს და საინტერესოა, რა იქნება ახლა“ — აღნიშნა „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

„კალიარის“ პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ კი თქვა, ხუთშაბათის მერე ვურეკავდი მორატის და მასთან დაკავშირებას ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა და საბოლოოდ ორშაბათს, ღამით „მილანთან“ შეთანხმებას მივაღწიეთო.

მასიმო მორატი: „მას არ დაურეკავს ჩემთვის, ეს ტყუილია. ვერც „მილანის“ საქციელს შევაფასებ და ავხსნი, თუმცა მათ კარგად ვიცნობ და არ მიკვირს...“

მოკლედ, საქმე მაგრად აირ-დაირია...

„მასიმო მორატისა და „ინტერისადმი“ პატივისცემის მიუხედავად, ვალდებულნი ვართ, მორატის მიერ დავიდ სუაზოს ტრანსფერზე გაკეთებულ კომენტარებს პასუხი გავცეთ. ჩვენ მზად ვართ, საჯაროდ გამოვიტანოთ იმ სატელეფონო ზარების ამონაწერები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მორატისთან დაკავშირებას ვცდილობდით“ — ნათქვამია „კალიარის“ ოფიციალურ განცხადებაში.

სარდინიელთა სპორტული დირექტორი ნიკოლა სალერნო: „მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ჩვენ გვსურდა, სუაზოს ტრანსფერი, რაც შეიძლება, მალე მოგვეგვარებინა. ფეხბურთელს „ინტერთან“ არანაირი ოფიციალური შეთანხმება არ ჰქონია. გალიანიმ და ჩელინომ კი შეძლეს საერთო ენის გამონახვა და, ვფიქრობ, ამ ამბავში არაფერი განსაკუთრებული არ არის“.

სუაზოს აგენტი კარლო პალივიჩინო კი სულ სხვა რამეს ამბობს: „დავიდი „მილანს“ საერთოდ არ დაკავშირებია და არავისთან აქვს გაფორმებული კონტრაქტი“.

იტალიური პრესა კი იუწყება, რომ თუ მორატის სიტყვები დადასტურდა და სუაზოს მართლაც აქვს „ინტერთან“ რაიმე დოკუმენტი ხელმოწერილი, საქმე ორივე მხარეს ცუდად წაუვაო. ამ შემთხვევაში „ინტერს“ ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს, ჰონდურასელი კი დისკვალიფიკაციით დაისჯება.

„ნეროაძურის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი კი სუაზოს საკითხს გაუოგნებია და, ჩანს, თავისი გუნდის ხელმძღვანელებზეა გაბრაზებული: „განცვიფრებული ვარ, სიტყვები არ მყოფნის, არ ვიცი, რა ვთქვა... რა მოხდა? „ინტერს“ ჰყავს პრეზიდენტი სახელად მასიმო მორატი და დირექტორი სახელად მარკო ბრანკა. ასე რომ, მათ ჰკითხეთ, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს“.

ერთი სიტყვით, ქაოსი და მილანურ-ჰონდურასული დერბი სკანდალურად გრძელდება...

და ერთიც: გავრცელდა ცნობა, რომ ბრანკა უკვე ბარსელონაში ჩავიდა და ახლა სამუელ ეტოოს ხელში ჩაგდებას ცდილობს. მორატი მზად ყოფილა, კატალონიელებს კამერუნელის სანაცვლოდ ადრიანო და ვალტერ სამუელი დაუთმოს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ვაი, ინტერის თავს!

## მორატი ყველაფერს უარყოფს, მაგრამ... იტალიაში ახალი კალჩოპოლი იწყება?

მილანის „ინტერს“ დავიდ სუაზოს ამბავი არ ეყოფოდა და ახლა ახალი და გაცილებით სანერვიულო გაუჩნდა — 2005-06 წლების სეზონში „შავ-ლურჯები“ ფინანსურ მაქინაციებშია არიან ეჭვმიტანილნი. საქმე ახალგაზრდა ფეხბურთელების რეალური ფასის დაწევასა და შავი ფულის კეთებას ეხება.

„ინტერის“ დარად, პრობლემები შეიძლება შეექმნათ „მილანს“, „სამპდორიას“ და „რეჯინას“, რომელთა ფინანსურ საქმიანობაზე ასევე გაჩნდა გარკვეული ეჭვები.



მასიმო მორატი

„ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციებთან დაკავშირებით, რომლებიც 2005-06 წლების სეზონში ფინანსურ მაქინაციებს ეხება, გვსურს, განვაცხადოთ, რომ „ინტერს“ არალეგალური არაფერი გაუკეთებია. ამის დამადასტურებელი მასალა უკვე შევაგროვეთ და წარვადგენთ კიდეც. კლუბი ყოველთვის წესების დაცვით მოქმედებს. მით უმეტეს, რომ მმართველები „ინტერს“ ყოველთვის სათანადოდ აფინანსებენ და ამ მხრივ მუდამ ყველაფერი წესრიგშია“ — ნათქვამია „ნეროაძურის“ ოფიციალურ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ 2005-06 წლების სეზონზე გადატყდა კალჩოპოლის ჯოხი, რამაც „იუვენტუსის“ სერია B-ში დაქვეითება გამოიწვია და სკუდეტოც „ინტერს“ გადაეცა. „მილანს“, „ლაციოს“, „ფიორენტინასა“ და „რეჯინას“ კი, როგორც მოგეხსენებათ, გასული სეზონი მინუს ქულებით დააწყებინეს.

„ინტერი“ თითქმის ერთადერთი სუფთა გუნდის სახელს ინარჩუნებდა და ძალიანაც ამაყობდა ამით, მაგრამ ახლა...

„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი: „ამ საკითხზე არ ვნერვიულობთ, რადგან არაფერი დაგვიშავებია და მშვიდად ვართ. რა თქმა უნდა, უსიამოვნო ამბავია, მაგრამ იმედია, ყველაფერი მალე გაირკვევა და ჩვენზე ყოველგვარი ეჭვები გაქრება. გავიგე, სხვა კლუბებზეც არის ეჭვი, ამაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩვენს გუნდში ნამდვილად ფინანსური სტაბილურობაა, ამისთვის მილიონებს ვხარჯავ... ვეცდებით, ჩვენი სიმართლე, რაც შეიძლება, მალე დავამტკიცოთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რეალურად ფეხბურთელის შეფასება ძალიან ძნელია. შეიძლება, ის დღეს 6 მილიონი ევრო ღირდეს, ერთ თვეში კი 8 ან საერთოდ არც არაფერი“.

„ინტერი“ კი ცდილობს სიმშვიდის შენარჩუნებას, მაგრამ სანერვიულო აშკარად აქვს. მით უმეტეს, რომ ამგვარი საკითხების სპეციალისტი, ადვოკატი მატია გრასანი ამბობს, თუ „ნეროაძურის“ ეს ყველაფერი დაუმტკიცდა, დიდი შანსია, მხოლოდ ფულადი ჯარიმით ვერ გამოძვრეს და სკუდეტოს ჩამორთმევა ან სერია B-ში დაქვეითება დაემუქროსო...

„ფინანსური მაქინაციები სერიოზული დანაშაულია. ასეთ შემთხვევაში კლუბის დირექტორებსა და ამ საქმეში გარეულ პირებს უბრალო ჯარიმიდან დაწყებული, ფეხბურთიდან ხუთი წლით ან სამუდამოდ მოკვეთაც კი ემუქრებათ. რაც შეეხება უშუალოდ კლუბებს, მათთვის ჯარიმა შეიძლება იყოს ფულადი, ქულების დაკლება და სერია B-ში დაქვეითება. „ინტერი“ სკუდეტოს ჩამორთმევის საფრთხის წინაშეც დადგეს, მაგრამ ეს უკვე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტი იქნება. ცხადია, სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნათ სხვა ეჭვმიტანილ გუნდებსაც, მაგრამ ჯერ ყველაფერი კარგად უნდა გაირკვეს“ — თქვა გრასანიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბერნდის ბრენდი: ბერნდი

თუ მადრიდის „რეალის“ თავკაცად ბერნდ შუსტერს დანიშნავენ, ამ გუნდში ლევერკუზენელი ბერნდ შნაიდერიც გადავა.

შუსტერს თანამემამულე შუახაზელი დევიდ ბექჰემის შემცვლელად უნდა და ამ საკითხზე ესპანეთში უკვე სერიოზულად ლაპარაკობენ.

„მეც გავიგე ასეთი რამ. თუ „რეალს“ ჩემი შეძენა მართლა აინტერესებს, სიამოვნებით განვიხილავ მის წინადადებას“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა.

და ერთიც: თითქმის გადაწყვეტილია, რომ „კოპა ამერიკის“ შემდეგ „რეალში“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მარცხენა მცველი გაბრიელ ჰაინცე გადავა. ტრანსფერის ღირებულება 5 მილიონი გირვანქაა.



**კახა ზალამბერიძე**



# რომამ ის უარყო, რაც პრესამ ამტკიცა

იტალიურმა „რომამ“ უარყო ინფორმაცია კრისტიან კივუს „ინტერში“ შესაძლო გადასვლის თაობაზე. აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, რუმინელი მცველი „ნეროაძურიში“ 12,6 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადადის, თუმცა...

„ბოლო დროს პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, კრისტიან კივუს სავარაუდო ტრანსფერის შესახებ, უსაფუძვლოა. ამ საკითხზე მოლაპარაკებებს არც ვაწარმოებთ. „რომას“ კივუს შენარჩუნება სურს. „ინტერის“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას კი საუბარი მხოლოდ დავიდ პიზაროს გამოსყიდვის საკითხს შეეხო“ — ნათქვამია დედაქალაქელთა ოფიციალურ განცხადებაში.

მიუხედავად ამისა, იტალიური პრესა მაინც ჯიუტად ამტკიცებს თავისას — ამ ზაფხულს კივუ „ინტერში“ გადავა, ხოლო „რომას“ მის შემცვლელად ლევერკუზენელი ჟუანის ყიდვა უნდაო.

**კოკი კანდელაკი**

## ისლანდია

პრემიერდივიზიონი

VII ტური

ჰაფნარფიორდური 2:1 ბრეიდაბლიკი

## აშშ

MLS. XIII ტური

კოლუმბუსი 2:1 კანზასი

## ამხანაგური მატჩები

განა 1:3 ყატარი

ბოლივია 0:0 პარაგვაი

ჰარტბერგი 2:7 შტურმი

ავსტრია 1:0 აპოელი



## ვიერი გაუშვეს

„ატალანტამ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ კრისტიან ვიერი მათ აღარ ეკუთვნით.

33 წლის „ბობომ“ წინა სეზონის განმავლობაში ტრავმის გამო მხოლოდ აპრილ-მაისში ითამაშა და ორი გოლი გაიტანა. ვიერი „ატალანტაში“ სიმბოლურ ხელფასს, 1000 ევროს იღებდა.

„სკუადრა აძურაში“ მას 49 მატჩში 23 გოლი გაუტანია.

## ურსაისის ლურსმანი

**ესპანური** „ბილბაოს“ 35 წლის თავდამსხმელმა ისმაელ ურსაისმა კარიერა დაასრულა.

ფეხბურთელმა საბოლოო გადაწყვეტილება გუშინ მიიღო.

## ლაზარონი მარიტიმუში

**პორტუგალიური** „მარიტიმუს“ მწვრთნელად ბრაზილიელი სებასტიანო ლაზარონი დანიშნეს. მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე იგი ბრაზილიის ნაკრებს თავკაცობდა და მერვედფინალში არგენტინასთან დამარცხდა. შარშან „ტრაბზონს“ ხელმძღვანელობდა, მაგრამ ნაადრევად გაათავისუფლეს, მანამდე კი „ფიორენტინაში“ და „ბარიში“ უმუშავია.

57 წლის ლაზარონიმ „მარიტიმუში“ ესპანელი ალბერტო პასორი შეცვალა. ესპანელმა წინა სეზონში გუნდი მე-11 ადგილზე გაიყვანა.

## სამი მივიდა, ერთი წავიდა

„**პარმას**“ „იუვენტუსმა“ ანდრეა გასბარონის კონტრაქტზე უფლება დაუთმო. პარმელებისთვის ეს უკვე მესამე შენაძენია ამ თვეში. მათ იყიდეს ნახევარმცველი ფრანჩესკო პარავიჩინი, რომელიც საწილოდ ეკუთვნოდა „პალერმოს“ და „ფიორენტინას“.

გარდა ამისა, „პარმამ“ „რომადან“ გადაიბირა დამიანო ფერონეტი 300 ათას გირვანქად, ხოლო ფრანჩესკო რუოპოლო „ალბინოლეფეში“ გაუშვეს.

## შეირუმ რიბერი შეცვალა

„**მარსელი**“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და გუნდის გაძლიერებას ეშურება.

სამხრეთელებმა „ოსერის“ ნახევარმცველი ბენუა შეირუ შეიძინეს და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ჯერჯერობით არ ამხელენ, რამდენი გადაიხადეს ფეხბურთელში.

„მარსელის“ პრეზიდენტმა პაპე დიუფმა კი განაცხადა, რომ შეირუმ ფრანკ რიბერი უნდა შეცვალოს, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა.

## კაპაროსი დეპორმა დაღალა

**მიუხედავად** იმისა, რომ ხოაკინ კაპაროსს „დეპორტივოსთან“ კონტრაქტი 2008 წელს უმთავრდება, მწვრთნელმა ნაადრევად წასვლა გადაწყვიტა. ამის შესახებ გუშინ თვითონ განაცხადა: „ორწლიანმა მძიმე მუშაობამ ძალიან დამღალა და ვფიქრობ, წასვლის დრო მოვიდა“.

კაპაროსი „დეპორში“ 2005 წელს, „სევილიადან“ მივიდა. პირველ სეზონში გუნდი მერვე ადგილზე გაიყვანა, მეორეში კი მეცამეტეს ვერ ასცდა.

ესპანური მედიის ცნობით, იგი შეიძლება „ბილბაოს“ მწვრთნელად დანიშნონ, საიდანაც ხოსე მანუელ ესნალ პარდო წავიდა.

## რუნიე ლანსელია

**ხორვატიის** ნაკრების მეკარე ვედრან რუნიე მომავალი სეზონიდან „ლანსის“ მაისურას მოირგებს. იგი „ბეშიქთაშიდან“ გადავიდა ფრანგულ კლუბში და სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

30 წლის რუნიეს „მარსელში“ (2001-2004) უთამაშია, „ბეშიქთაშამდე“ კი ორი წელი ლიეჟის „სტანდარდში“ გაატარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტაილანდ სიტი

## ტაკსინ შინავატრამ მანჩესტერი იყიდა



AFP

**ტაილანდის** ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტაკსინ შინავატრამ „მანჩესტერ სიტი“ 81 მილიონ 600 ათას გირვანქად იყიდა.

რამდენიმეკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ, კლუბის მეწილეები ტაილანდელს გარიგებაზე დათანხმდნენ.

ექსპრემიერის პირველი ნაბიჯი ალბათ მწვრთნელის დანიშვნა იქნება — „სიტის“ თავკაცი სტიუარტ პირსი სეზონის ბოლოს მოხსნეს და გუნდი ჯერჯერობით უთავოდაა.

„მოხარული ვარ, რომ კლუბის შეფები ჩემს წინადადებას დაჰყაბულდნენ. ჩვენ ერთად უნდა გავაძლიეროთ „სიტი“ და ანგარიშგასაწევ გუნდად ვაქციოთ პრემიერლიგაშიც და ევროპაშიც“ — თქვა შინავატრამ.

ამბობენ, რომ მწვრთნელობას სვენ გორან ერიკსონს სთავაზობენ, რითაც უკმაყოფილონი არიან ქომაგები.

შვედს თუ დანიშნავენ, წლიურად 2 მილიონ გირვანქას გადაუხდიან, სტიუარტ პირსი კი ოდენ 750 ათასს იღებდა...

**ვაჟა ხუციშვილი**

# გვარდიოლას პატარები



**ხოსეპ გვარდიოლა** „ბარსელონა B“-ს მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

„ბარსას“ ყოფილმა კაპიტანმა „პატარა გუნდთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გვარდიოლა კატალონიურ კლუბში 1990 წელს მივიდა და ათი სეზონი გაატარა — ოთხჯერ პრიმერადივიზიონი მოიგო, თითოჯერ ჩემპიონთა თასი და თასების მფლობელთა თასი, ორჯერ კი ესპანეთის თასი.

კარიერის ბოლოს გვარდიოლა იტალიურ „ბრეშაში“, „რომაში“, არაბულ „ალ აჰლიში“ და მექსიკურ „დორადოსში“ თამაშობდა...

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ელ-ჰაჯი დიუფი

თავდამსხმელი

დაიბადა 1981 წლის 15 იანვარს დაკარში
სიმაღლე: 1,82 მეტრი
წონა: 74 კგ
კარიერა: 1998-99 წლები — „სოშო“ (16 მატჩი, 0 გოლი), 1999-2000 წლები — „რენი“ (28 მატჩი, 1 გოლი), 2000-02 წლები — „ლანსი“ (54 მატჩი, 18 გოლი), 2002-05 წლები — „ლივერპული“ (55 მატჩი, 3 გოლი),
2004 წლიდან — „ბოლტონი“ (80 მატჩი, 17 გოლი)
2000 წლიდან თამაშობს სენეგალის ნაკრებში (41 მატჩი, 16 გოლი)





## MERCEDES ML63

გამოშვების თარიღი: 2006 წელი
სიგრძე: 4,788 მეტრი
სიგანე: 1,910 მეტრი
სიმაღლე: 1,815 მეტრი
წონა: 2 150 კგ
ცილინდრი: 8
ძრავის კუბატურა: 6,2
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 348 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში
ფასი: 70 000 გირვანქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს ვარსკვლავი





## 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს ბილარდო

# კაცი ვიდეომაგნიტოფონით

**— სინიორ ბილარდო, თქვენ როგორც მწვრთნელმა, მსოფლიოს ორ ჩემპიონატში მიიღეთ მონაწილეობა. რას ნიშნავს ეს დღევანდელი გადასახედიდან?**

— მსოფლიოს ორ ჩემპიონატში მონაწილეობა დიდი რამ არის. ეს ძალიან საამაყო და იმავდროულად, ძალიან რთული საქმეა. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიას რომ გადახედოთ, ნახავთ, რომ ორ ტურნირში მხოლოდ მე, ფრანც ბეკენბაუერს და კარლოს ალბერტო პარეირას გვყავს გუნდი წაყვანილი. ამასთან, სამივენი თითოჯერ გავხდით ჩემპიონი — მე მექსიკაში, ბეკენბაუერი იტალიაში, პარეირა კი ამერიკაში. ზოგადად, მსოფლიოს ჩემპიონატი ყველაზე დიდი შეჯიბრებაა ქვეყნად არსებულ შეჯიბრებათა შორის. ფეხბურთელი შეიძლება მონაწილეობდეს ევროთასებზე, ან სამხრეთამერიკულ თუ აფრიკულ საკლუბო შეჯიბრებებში. შესაძლოა, თამაშობდეს სანაკრებო შეხვედრებში, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი სხვაა, ის ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს ის შეჯიბრებაა, სადაც მხოლოდ რჩეულები იკრიბებიან და საუკეთესოთა შორის საუკეთესოს გამოსავლენად იბრძვიან. ხალხი ყოველთვის ცდილობს, გამოიცნოს, ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი და, როგორც წესი, ხუთექვს გუნდს ასახელებს. მე, როგორც მწვრთნელმა, ჩემპიონის ტიტული 1986 წელს მოვიპოვე, 1990-ში კი მეორეზე გავედი, ეს კი შედეგია, რომელიც ისტორიაში შევიდა და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. ამ ორ ჩემპიონატზე მიღწეულის გამო ხალხს დღემდე ვახსოვართ.

**— ორი ჩემპიონატი... ორი ფინალი... რაიმე საიდუმლო გაქვთ?**

— ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია, თუმცა, რასაკვირველია, იყო ბევრი ჩინებული გუნდიც, რომელთაც მესამე და მეოთხე ადგილები აიღეს. მე მწვრთნელის თანამდებობაზე მაშინ დავრჩი, როდესაც უამრავი ადამიანი მიჩიჩინებდა: აბა, კარლოს, ნაკრებში რაღა დაგრჩენია, მექსიკაში ხომ ჩემპიონი გახდი და ამაზე მეტს რაღას უნდა მიაღწიოო — მე კი ვპასუხობდი, რომ მწვრთნელი ვარ და, როგორც ასეთს, ძალიან მინდა, განვავითარო სამი მცველით, ხუთი ნახევარმცველითა და ორი ფორვარდით თამაშის იდეა. ამ განლაგებას 86-ში შვეიცარიასთან, ბელგიასა და გერმანიასთან შეხვედრებში მივმართე და ჩემთვის, პიროვნულად, 1990 წლის მუნდიალი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამის გამეორებისთვის იყო საინტერესო. გარდა ამისა, იყო ნამდვილი გამოწვევა. გარშემო ყველამ იცოდა, რომ ერთხელ უკვე გავხდით ჩემპიონები, მეორედ გახდომაზე კი აღარავინ ფიქრობდა. ვგრძნობდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასული ფეხბურთელები მოედანზე გავლენ და ათას რაღაცაზე დაიწყებენ ფიქრს, გამარჯვების გარდა. ეს რთული ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომლის გადალახვა ყველას უჭირს. სწორედ ამ ფაქტორის გამო ვერ ხდებიან ხოლმე გუნდები ზედიზედ ორგზის ჩემპიონები. დამეთანხმებით, მეტწილად ასეა და ამის შეცვლის იდეითაც ვიყავი შეპყრობილი. მინდოდა, ჩვენ, არგენტინის ნაკრების მწვრთნელებს, ფეხბურთელებისთვის გამარჯვების ჟინი ჩაგვენერგა...

...ჩემპიონატის წინ, ჩვენ ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი დაგვიგროვდა. ტრავმა შეეხო ძირითადი შემადგენლობის სამ ფეხბურთელსაც — ხორხე ლუის ბრაუნს, ექტორ ენრიკესა და ხორხე ბურუჩაგას, მაგრამ გუნდმა მაინც მოახერხა თავისი ფეხბურთის თამაში, რადგან მას გამოცდილება ჰქონდა. სწორედ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ეს რომ არ ყოფილიყო, ჟურნალისტები ერთხმად დაწერდნენ, რომ არგენტინის ნაკრებს ამ ჩემპიონატისადმი ოთხი წლის წინანდელის მაგვარი მიდგომა არ ჰქონდა, არადა, ასე უკვე აღარ იყო. ჩვენ ყველანი ძალიან სერიოზულად ვუდგებოდით საკითხს და ვაცნობიერებდით, რომ ამ დონეზე მხოლოდ გამარჯვებაზე შეიძლება ფიქრი.

**— სანაკრებო და საკლუბო მწვრთნელობას შორის რა განსხვავებაა?**

— ეს ორი სრულიად განსხვავებული სამუშაოა. კლუბში მწვრთნელი ფეხბურთელებს ყოველდღე ხვდება, ნაკრებში კი იშვიათად და მათთვის იდეების გადაცემისა და ამ იდეების განხორციელების თვალსაზრისით, პრობლემის წინაშე დგას. გამოსავლის ძებნაში პირადად მე ასეთ გზას დავადექი: ფეხბურთელებთან ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკი მოვიფიქრე — თუ ესა თუ ის ფეხბურთელი დილით თავის კლუბში ვარჯიშობდა, ამ კლუბის მწვრთნელთან შეთანხმებითა და მისი ნებართვით, საღამოთი ამ ფეხბურთელს მე ვმოძღვრავდი. პერიოდულად ვაწყობდი სადამოებს, ვახშმებს და სხვა შეკრებებს, სადაც, თუნდაც უბურთოდ, თუნდაც მაგიდაზე ან დაფაზე, თუნდაც მხოლოდ თეორიულად განვმარტავდი, რა და, როგორ მინდა. ახლა იმაზე, თუ რას ვაკეთებდი უცხოეთში მოთამაშეთა საკმაოდ დიდ არმიასთან. რას და, ჩავდიოდი მათ ქვეყანაში, სამ-სამს, ოთხ-ოთხს ვაგროვებდი და ასე, ჯგუფ-ჯგუფად ვავარჯიშებდი. როგორც წესი, ორშაბათებს ვარჩევდი, რადგან ევროპაში შაბათ-კვირას თამაშობენ და ორშაბათი თავისუფალი აქვთ. სხვათა შორის, სულ თან დამქონდა ჩემი ვიდეომაგნიტოფონი და შეგროვებულებს ვაჩვენებდი, ვუხსნიდი, რას ვაპირებდი. მეტიც, ხანდახან ამა თუ იმ ფეხბურთელს შინ ვეწვეოდი და ბევრჯერ დავრჩენილვარ კიდეც. მოკლედ, სულ მათთან კონტაქტს ვეშურებოდი და ამიტომაც მივიჩნევ ნაკრების წვრთნას რთულ საქმედ. აბა, წარმოიდგინეთ, მე არგენტინაში ვცხოვრობდი და ევროპაში დავხეტიალობდი ვიდეომაგნიტოფონით ხელში.

**— ზოგმა ფეხბურთელმა გაიხსენა, რომ 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალთ, არავინ გამოგყვათ. აეროპორტამდეც კი არ მიუცილებიხართ. ეტყობა, არავის სჯეროდა თქვენი...**

— არის ერთი ჟურნალი, რომელიც ამბობს, რომ მე ავტობიოგრაფიას ვწერ. ეს არის ჟურნალი, სადაც იბეჭდება ჩემი მონაყოლი იმაზე, თუ როგორ დავიწყე ფეხბურთის თამაში 12 წლისამ, როგორ ამიყვანეს არგენტინის ჭაბუკთა ნაკრებში და შემდეგ, როგორ წამიყვანეს რიოს ოლიმპიურ თამაშებზე. იქვეა ჩემი მოგონებანი იმ ორ მუნდიალზეც. ვიხსენებ 1986 წელს ისრაელში გამგზავრების ამბავსაც და იმას, თუ როგორ მითხრა მაშინ მარადონამ, ჩვენი არავის სწამს და ჩვენს სანახავად არავინ მოვაო. მე კი ვამბობდი, რომ სწორ გზაზე ვიდექით. მოკლედ, ჩემი არავის ესმოდა. 1983-86 წლები ჩემს ცხოვრებაში ძალიან ძნელი იყო. სწორედ მაშინ ვთქვი, მირჩევნია, 30-მა კაცმა გამიგოს, ვიდრე 30 მილიონმა-მეთქი. მაშინ, 30 მილიონი არგენტინის მოსახლეობა გახლდათ, 30 კაცში კი გუნდს ვგულისხმობდი.

**— მექსიკაში გამგზავრების წინ, თქვენ საბოლოო შემადგენლობას საშინელი ზეწოლის ქვეშ ასახელებდით. ნუთუ ამ ზეწოლამ თქვენს არჩევანზე გავლენა არ იქონია?**

— პროფესიულ საკითხებზე, ალბათ, არა, მაგრამ ზოგადად, იმხელა პრესის ქვეშ ვიყავი, როგორსაც ფეხბურთის მწვრთნელები კი არა, ხშირად მთავრობებიც კი ვერ უძლებენ. მაშინ ჟურნალ-გაზეთებს მართლაც საოცარი ზემოქმედება შეეძლოთ. მოკლედ, იმის თქმა, რომ ჩემზე ვერავინ ვერანაირი ზემოქმედება ვერ მოახდინა, ბუნებრივია, არ შეიძლება...

...და აი, სწორედ აქ მინდა, ერთი ისტორია გავიხსენო. ეს ჩემი სტუდენტობის დროინდელი ამბავია, მაშინ სამედიცინოზე ვსწავლობდი. პროფესორ დესოლდატისთან ერთად ალვეარის საავადმყოფოში ვიყავი. პროფესორი დესოლდატი არგენტინის ერთ-ერთი საუკეთესო კარდიოლოგთაგანი გახლდათ. ის მთავარი ქირურგი იყო და სტუდენტებს უამრავ ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილს გვიტარებდა. მაგალითად, თითოეულ ჩვენთაგანს მიამაგრებდა პაციენტს და გვასწავლიდა, როგორ გვემკურნალა ამ პაციენტისთვის. ერთხელ, ჩემი პაციენტის შესახებ მკითხა: ბილარდო, რა სჭირს ამ ადამიანს? ის სრულიად ჯანმრთელია, ვუპასუხე მე, რადგან იმ პაციენტს ცოტა ხნით ადრე მოვუსმინე. არა, ბილარდო, მითხრა პროფესორმა, მას შუილები აქვს. მაშინ მე თავიდან მოვუსმინე პაციენტს და მართლაც, დიდი დაკვირვების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მას შუილები აქვს. დიახ, ვუთხარი პროფესორს, მას შუილები აქვს. არა, ბილარდო — თავი გააქნია დესოლდატიმ — მისი ექიმი შენ ხარ და აქვს თუ არა შუილები, შენ უნდა გადაწყვიტო, სხვამ კი არა. სხვებს შეიძლება აზრი ჰკითხო, მაგრამ გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო და მკურნალობაც შენ უნდა დანიშნო. ეს შემთხვევა სამუდამოდ დამამახსოვრდა და დიდი ხნის მერე, როდესაც არგენტინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვიყავი, ყველას ვუსმენდი, ფეხბურთელებს, ჟურნალისტებს და სხვა ადამიანებს, მაგრამ გადაწყვეტილებას მხოლოდ და მხოლოდ მე ვიღებდი.

**— ხშირად ამბობენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე ძნელი პირველი თამაშია. როგორ გახსენდებათ კორეასთან შეხვედრა?**

— ჩვენ მათი ათი თამაში გვქონდა ვიდეოზე ნანახი და ბიჭებმა კორეელების ამბები ზეპირად იცოდნენ. ჩვენ ვიცოდით, რომ კორეას კარგი გუნდი ჰყავდა, მაგრამ იტალია, საფრანგეთი ან გერმანია რომ არ იყო, ესეც კარგად მოგვეხსენებოდა. საბედნიეროდ, საქმე თავიდანვე კარგად წაგვივიდა. რაც შეეხება პირველი მატჩის ფაქტორს, რასაკვირველია, ის მნიშვნელოვანია, რადგან თუ პირველი მოიგე, მეორეზე უფრო ფრთაგაშლილი გადიხარ.

**— რა გავლენა ჰქონდა გუნდში დიეგო მარადონას? როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან თქვენ?**

— 1983 წელს, როგორც კი ნაკრების მწვრთნელად დამნიშნეს, ევროპაში გავვარდი, რადგან მაშინ პესოს კურსი დაეცა და ფეხბურთელებმა მასობრივად მიაშურეს ევროპის ქვეყნებს. შევხვდი ყველას, მათ შორის, მარადონასაც და ვუთხარი, რომ კაპიტანი სწორედ ის უნდა იყოს, რადგან 1982 წლის თავგადასავლის მერე გული დიდ წარმატებას მიგრძნობდა. შემდეგ არგენტინაში დავბრუნდი და ხალხის გასაგონად იგივე გავიმეორე ხმამაღლა. სხვათა შორის, ეს საკმაოდ ძნელი საქმე იყო, რადგან მაშინ კაპიტანი დანიელ პასარელა გახლდათ და მე მას კაპიტნობას ვართმევდი. მერედა, პასარელასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, ჩვენ ვმეგობრობდით, თუმცა მეგობრობა სხვაა, საქმე კი სხვა...

...მე მარადონა გავაფრთხილე, რომ როგორც კაპიტანს, დიდი კრიტიკის გადატანა და გაძლება მოუხდებოდა. დღევანდელმა ახლგაზრდობამ ეს ამბები ხომ არ იცის. ვინც დღეს 25 წლის არის, მაშინ დაბადებულიც არ იყო. თანამედროვე არგენტინელ ჟურნალისტებსაც ვუმეორებ მაშინდელ ამბებს, რადგან ხშირად ისინი წერენ იმას, რაც არ იციან. არადა, მაშინ, 1983 წელს ბევრი გაოცებული მეუბნებოდა: ბილარდო, რატომ მარადონა? რატომ ნიშნავ მარადონას კაპიტნად? ბევრი პირდაპირ მიცხადებდა, რომ მარადონა კაპიტნობას ვერ შეძლებდა, მაგრამ მე ჩემი გადაწყვეტილება მივიღე და ამ გადაწყვეტილებას ვუერთგულე. სხვათა შორის, მაშინდელი წამყვანი გაზეთები ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. „ელ გრაფიკო“, „ელ ტემრო არხენტინო“, „ელ კლარინი“.. ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ ამ მარადონას ჯერ კიდევ დასამტკიცებელი ჰქონდა თავისი უფლება არათუ კაპიტნობაზე, არამედ გუნდში პირველთა შორის...

...ჰოდა, ახლა, როდესაც პრესას ვხვდები, მე მათ ვაჩვენებ მაშინდელ გაზეთებს და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ და შემდგომ სიტუაციას ვადარებინებ. მექსიკა 86 დაიწყო თუ არა, ჟურნალ-გაზეთები დიეგოს მხარეზე გადავიდნენ და მისი ქება-დიდება დაიწყეს. დიახ, რასაკვირველია, დიეგო ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, მაგრამ რამდენიმე სხვა საკვანძო მოთამაშეც გვყავდა. მე მარადონას კაპიტნობა იმიტომ მივეცი, რომ კარგ ფორმაში იყო და თან, მინდოდა, თავის გარშემო შემოემტკიცებინა დანარჩენი საკვანძო მოთამაშეები: ბრაუნი, ბატისტა, ჯიუსტი, ვალდანო... ისინიც საუცხოო ფორმაში იყვნენ და მუნდიალზე ეს დაამტკიცეს კიდეც.

*გაგრძელება ხვალინდელ „სარბიელში“*

# რეალს ყველაზე მეტად ახალი მწვრთნელი არ სჭირდება!

## ამბობს ბერნდ შუსტერი, რომელიც ბარსას ფანკლუბის წევრი ყოფილა

ბერნდ შუსტერმა „ონდა სეროსთან“ ინტერვიუში მადრიდის „რეალთან“ წინასწარი შეთანხმების ფაქტი უარყო, თუმც, ესპანური მედიის მტკიცებით, კოპა დელ რეის ფინალის შემდეგ (ხვალ) „სამეფო გუნდს“ სწორედ „ხეტაფეს“ დღევანდელი მწვრთნელი ჩაიბარებს...



— რა უფრო გალელვებთ: კოპა დელ რეის ფინალში თამაში თუ მადრიდის „რეალის“ მწვრთნელობა?

— ამჟამად კოპა დელ რეი, რომლის ფინალში გასვლაც „ხეტაფესთვის“ დიდი წარმატებაა. გვინდა, სამეფო თასი მოვიგოთ და შაბათს „ბერნაბეუზე“ ამისთვის ვითამაშებთ.

— ასეთ ვითარებაში გუნდის საფინალოდ მომზადება არ გიჭირთ? ყველა თქვენსა და „რეალზე“ საუბრობს...

— ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ფინალამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა და ამ ხნის განმავლობაში ბიჭები უნდა მოვამზადო. ხმებს და სატრანსფერო მითქმა-მოთქმას კი შეჩვეული ვარ.

— „ხეტაფეს“ შემადგენლობა თქვენს გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს როგორ აფასებს?

— მჯერა, რომ ფეხბურთელები იმაზე არ ფიქრობენ, მათი მწვრთნელი მომავალ წელს გუნდში იქნება, თუ არა. „ხეტაფეს“ მთელი ყურადღება ფინალზე აქვს გადატანილი და გამარჯვება უნდა.

— მოგეწონათ „ასის“ სამშაბათის თავფურცელი, სადაც ეწერა, რომ მომავალ სეზონში მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი ბერნდ შუსტერი იქნება?

— არ მომეწონა, რადგან სურათზე გაუპარსავი ვიყავი... ეს ხუმრობით და, სერიოზულად თუ გაინტერესებთ, გამიკვირდა, როცა გაზეთმა მთელი თავფურცელი მე დამითმო.

— „ბარსას“ ფანკლუბის წევრი მართლა ხართ?

— დიახ. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ვიყავი, მაგრამ სჯობს, იქიდან დროზე გამრიცხონ.

— როგორი იყო ბერნდ შუსტერი, როდესაც „ბარსელონაში“ სათამაშოდ მივიდა?

— კატალონიაში 20 წლისა ჩავედი და ქალაქის შესახებ არაფერი ვიცოდი. მხოლოდ ფეხბურთის თამაში გამეგებოდა და ხალხის გულიც ამით მოვიგე.

— და შუსტერი, რომელიც „რეალში“ გადავიდა?

— ბარსელონელისგან განსხვავებული. „რეალში“ ისეთი ფასეულობები შევნიშნე, რაც „ბარსაში“ არ მინახავს. „კამპ ნოუზე“, რაც მინდოდა, იმას ვაკეთებდი, „სამეფო გუნდის“ გასახდელში კი თავისებური, მკაცრი წესები იყო. მახსოვს, ერთხელ გალიეგომ და კამაჩომ მითხრეს: გერმანელო, ნუ იბლინძები, ჩვენ აქ ჩვენი წესები გვაქვს...

— მადრიდში რა ისწავლეთ?

— გუნდური ტიპის ფეხბურთელად ვიქეცი. „ბარსაში“ არაფერზე ვფიქრობდი და რაც მინდოდა, იმას ვაკეთებდი. მადრიდში ეს ყველაფერი შეიცვალა, პირველივე ვარჯიშზე მიმითითეს, რა უნდა გამეკეთებინა. როცა გუნდურ სტილს შევეჩვიე, გალიეგოსთან მშვენიერი ურთიერთობა დავამყარე. არადა, ადრე ერთმანეთს ვეჩხუბებოდით და ვაფურთხებდით კიდეც.

— როგორც მწვრთნელს, ყოველთვის „რეალის“ ან „ბარსას“ დამრიგებლობა გინდოდათ. უფრო თითქოს, კატალონიურ გუნდში უნდა გემუშავათ...

— დიახ. ვფიქრობდი, რომ რახან ადრე „ბარსელონას“ ფეხბურთელი ვიყავი, ადაპტაციის პროცესი არ უნდა გართულებულიყო და ხალხსაც ჩემი ნდობა ექნებოდა. თუმცა, როგორც მწვრთნელს, ყველაფრის თავიდან დამტკიცება მიწევს.

— „ბარსელონაში“ არასოდეს წახვალთ სამუშაოდ?

— თუ ხვალ „რეალის“ მწვრთნელი გავხდი, ცხადია, ჩემთვის ბარსელონური საზღვრები ჩაიკეტება. თუმცა მე პროფესიონალი ვარ და, მგონი, შუსტერის სხვა გუნდში გადასვლის გამო არავინ დაიჩივლებს. მით უმეტეს, რომ ჩემთან ხელშეკრულების გაფორმება ადრეც შეეძლოთ.

— თანამედროვე „რეალის“ შესახებ ბევრ ინფორმაციას ფლობთ?

— დიახ. ორი წლის განმავლობაში, რაც მადრიდში ვარ, „რეალის“ შესახებ ყველაფერს ვკითხულობ. თუმცა „სამეფო გუნდის“ საიდუმლოებანი არ ვიცი, ამისთვის უშუალოდ გუნდში ყოფნაა საჭირო.

— „რეალთან“ წინასწარი ხელშეკრულება უკვე გააფორმეთ?

— არანაირი ხელშეკრულება არ გამიფორმებია.

— შარშან პრეზიდენტ რამონ კალდერონს თქვენი გადაყვანა სურდა, თუმცა სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა ფაბიო კაპელოსთან შეთანხმება არჩია. თანამედროვე „რეალის“ გაწვრთნა უფრო ადვილი იქნება?

— ეჭვი არ გვეპარებოდა იმაში, რომ შარშან „რეალი“ რთული ფეხბურთელებისგან შემდგარი რთული გუნდი იყო. იქ წარმატების მიღწევისთვის, რაღაც აუცილებლად უნდა შეეცვალათ. კალდერონი და მიატოვიჩი ფაბიო კაპელოს გამოცდილებას ენდნენ და დაიჯერეს, რომ ოთხწლიანი „გვალვის“ შემდეგ, ამ კაცს „რეალისთვის“ რაიმე ჯილდოს მოტანა შეეძლო. კაპელომაც ჩემპიონობის მოგება მოახერხა. არადა, სიტუაცია, როგორც გითხარით, ურთულესი გახლდათ.

## ბექემი ლოს ანჯელესში მოკვდება

— გუნდს დევიდ ბექემი ტოვებს...

— ბექემი ლოს ანჯელესში მოწყენილობისგან მოკვდება. მას მადრიდში უმაღლეს დონეზე კიდევ 2-3 წელი შეეძლო თამაში. სამწუხაროა, რომ ინგლისელი „ბერნაბეუს“ ტოვებს.

— გაბი მილიტოს მართლა სთხოვეთ სამომავლოდ „რეალში“ გადასვლა?

— ეს მე არ მეხება. მილიტომ კი „სარაგოსაში“ თამაშისას დაამტკიცა, რომ შესანიშნავი ცენტრალური მცველია. თავის დროზე მას „რეალში“ გადასვლასთან ერთი ნაბიჯიღა დააკლდა... თუმცა გითხარით, რომ მილიტოს საქმეში ვერ ჩავერევი.

— „რეალში“ თქვენ სხვანაირი სტილით თამაშს მოგთხოვენ, არა მარტო შედეგს და გამარჯვებას, არამედ, ლამაზად ბურთაობასაც. შეძლებთ თანამედროვე მოდელის შეცვლას?

— ყველამ იცის, ჩემი გუნდები როგორაც თამაშობენ. თუ ფეხბურთელს დაანებებ, მოედანზე გააკეთოს ის, რაც სურს და ექსტრავაგანტულ რამეებს თავს არ მოახვევ, გაგიგებს და შენს რჩევებსაც გაითვალისწინებს. თუ წარმატებულად მუშაობა მოკრძალებულ გუნდებში, „ლევანტეში“, „ხერესსა“ და „ხეტაფეში“ შევძელი, ვითომ ეს მადრიდის „რეალში“ რატომ უნდა გამიჭირდეს? თუ ასე მოხდა, ესე იგი, ფეხბურთი საერთოდ არ მცოდნია.

— კრისტოფ მეცელდერს „რეალისთვის“ კარგ ცენტრალურ მცველად თვლით?

— იაპონია-კორეის მუნდიალზე ძალიან ახალგაზრდამ ითამაშა, თუმცა მერე ტრავმებთან და ფიზიკურ მომზადებასთან დაკავშირებულმა პრობლემამ შეაწუხა. მეცელდერს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ თუ პრობლემები მოაგვარა, დარწმუნებული ვარ, „რეალისთვის“ მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გახდება.

— კაკა სჯობია თუ კრიშტიანუ რონალდუ?

— კაკა თამაშში უფრო მონაწილეობს, კრიშტიანუ კი მარცხენა ფლანგის სპეციალისტია, თუმცა მარჯვენაზეც შეუძლია თამაში. რონალდუ კაკასნაირ ფეხბურთელებზე არის დამოკიდებული. ანუ ბრაზილიელი უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა.

— რეალელ „ხელშეუხებლებთან“ ურთიერთობას როგორააწყობთ? თავიდანვე „რკინის სერჟანტის“ პოლიტიკას განახორციელებთ?

— ყველაფერი ურთიერთპატივისცემას ემყარება. „რეალში“ და სხვა ნებისმიერ გუნდში, სახელი შენი საქციელით და პროფესიონალიზმით უნდა დაიმსახურო. თავის დროზე, ანუ როდესაც მე ვიყავი ფეხბურთელი, გუნდებს მხოლოდ სამი უცხოელი მოთამაშე ჰყავდათ. დღეს ეს პირიქითაა, რაც საქმეს ართულებს. საფრთხე მაშინ მოდის, როცა უცხოელები ესპანელებს ასწავლიან, როგორ უნდა მოიქცნენ. როცა გუნდში მოდიხარ და არაფერი იცი მადრიდული გრანდის მნიშვნელობის შესახებ, ეს ადგილობრივებმა უნდა გასწავლონ, ისევე, როგორც ჩემს შემთხვევაში მოხდა.

— ესპანეთში ვის უფრო მეტი გულშემატკივარი ჰყავს: „ბარსელონას“ თუ მადრიდის „რეალს“?

— ვფიქრობ, „რეალს“. ასეთი შთაბეჭდილება მაქვს. „ბარსასაც“ ბევრი ფანი ჰყავს, თუმცა რეალელ ქომაგთა რიცხვი მეტი უნდა იყოს.

— რა არ სჭირდება ახლა „რეალს“ ყველაზე მეტად?

— გადასარევ რამეს გეტყვით — სხვა მწვრთნელი!

— რაულის შესახებ რას ფიქრობთ: მისი გუნდში დარჩენა უკეთესი იქნება თუ წასვლა?

— რაული მადრიდელია, ეს მისი კლუბია და მას კარიერის დასრულება „რეალში“ უნდა, ისევე, როგორც პაოლო მალდინის „მილანში“. კაპიტანი გამოიყენეს, თუმცა ხშირად რაულს მხარდაჭერა აკლდა, იგი ხომ ბუტრაგენიოს მსგავსად, მუდამ ჩვეულ ადგილზე, მეტოქის მეკარესთან, რაც შეიძლება, ახლოს უნდა თამაშობდეს... თუ რაულს ეტყვი, რომ უკან დაიწიოს, ამას ყოველგვარი წუწუნის გარეშე შეასრულებს, თუმცა სხვა პოზიციაზე მაქსიმალურად სარგებლიანი აღარ იქნება. რაული ამბობს, რომ „ბერნაბეუდან“ წასვლა არ უნდა. ამის გამო მას უდიერად კი არ უნდა მოეპყრან, პირიქით, უფრო მეტი პატივისცემით უნდა შეხედონ... ეს რთული თემაა.

— სატრანსფერო პროცესებში ხშირად ერევით?

— „ხეტაფეში“ თითქმის ყველა ტრანსფერი პრეზიდენტმა ანხელ ტორესმა განახორციელა, რაც ხელს სულაც არ მიშლიდა. იყო ზოგიერთი ფეხბურთელი, რომელთა შესაძლებლობებში დარწმუნებული ვიყავი და მათი მოყვანა ვითხოვე, თუმცა უმრავლესობა ანხელ ტორესმა მოიყვანა.

— გრძელვადიანი ტურნეების მომხრე ხართ?

— არა. ეს ტურნეები, როგორც ვიცი, არავის მოსწონს და არც „ბარსასთვის“ და არც „რეალისთვის“ სარგებელი არ მოუტანიათ.

— „რეალმა“ ზაფხულში შედარებით ასაკოვანი ფეხბურთელები იყიდა, ზამთარში კი სამი ახალგაზრდა. რას იტყვით ამ ტრანსფერთა შესახებ?

— ზამთრის ტრანსფერები ყოველთვის ძნელად განსახორციელებელია. ახლებმა ადაპტაციის პერიოდი უნდა გაიარონ და ისინი გუნდში რთულ დროს მოდიან. რობინიო უფრო მაღალი დონის ფეხბურთელია, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ, თუმცა მას არ გაუმართლა — მოვიდა „რეალში“, რომელიც მაშინ კრიზისში გახლდათ. გონსალო იგუაინმა საქმეს, ასე თუ ისე, თავი გაართვა, ფერნანდო გაგოს კი ევროპულ ფეხბურთთან შეჩვევა მოუწევს.

— ეტოოს არ შეიძენდით მადრიდის „რეალისთვის“?

— საეჭვოა, ეტოომ „კამპ ნოუ“ დატოვოს. სამუელმა „ბარსაში“ დიდი საქმეები გააკეთა და გუნდი ყველანაირად ეცდება მის შენარჩუნებას. იგი უაღრესად საჭირო მოთამაშეა.

— შუსტერის ფავორიტი რომელია: ეტოო თუ რონალდინიო?

— ეტოოს პატივი უნდა სცეთ, იგი მებრძოლეა და მინდორზე ბოლომდე იბრძვის. რონალდინიოს თამაშის ცქერით კი უნდა დატკბე, ისევე, როგორც ზიდანის თამაშით. თუმცა ეს მაშინ ხდება, როცა კამერუნელიც და ბრაზილიელიც ფორმაში არიან.

— იმ დღეს, როცა „ხეტაფემ“ „ბარსელონას“ ოთხი გოლი შეუგდო, იგრძენით, რომ კატალონიურ გუნდთან თქვენი კავშირი საბოლოოდ გაწყდა?

— არა, მაგრამ მართალი გითხრათ, „ბარსას“ სისუტით გაკვირვებული დავრჩი. ჯადოსნური ღამე იყო, ყველაფერი, როგორც გვინდოდა, ისე გამოვიდა. ფინალშიც ასე ვაპირებთ თამაშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

### ფინალი. საპასუხო მატჩი

**გრემიო (ბრაზილია) 0:2 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (0:3)**

0:1, 0:2 რიკელმე (70, 82)
გრემიო: საბა, პატრისიო, უილიამი, ტეკო (სკიავი 33), ლუსიო, გავილანი, პეცინი, ჩეკო (ამოროზო 46), დე სოუზა, კარლოს ედუარდო, ტუტა (ევერტონი 70)
მწვრთნელი: მანო მენეზესი
ბოკა ხუნიორსი: კარატა, იბარა, დიასი, მორელი, როდრიგესი, ლედესმა, ბანეგა (ოსტერმანი 82), კარდოზო (ბატალია 60), რიკელმე, პალერმო, პალასიო (ბორზელი 87)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ რუსო
გაფრთხილება: ლუსიო, უილიამი, ლედესმა
მსაჯი: ოსკარ რუისი (პარაგვაი)
55 000 მაყურებელი

# ექვსთასიანი ბოკა ხუნიორსი

**ხუან რომან რიკელმემ** მეორე ტაიმში დუბლი შეასრულა სტუმრად ბრაზილიურ „გრემიოსთან" და „ბოკა ხუნიორსმა" ლიბერტადორესის თასი მოიგო.

პირველ ფინალურ მატჩში ბოკელებმა 3:0 დაამარცხეს ბრაზილიური კლუბი და საპასუხოშიც დაჩაგრეს. რიკელმემ კი, რომელიც ესპანური „ვილიარეალიდანაა" განათხოვრებული, ამ ტურნირში რვა გოლი მოაგროვა.

არგენტინელ ნახევარმცველს წყვილის გასატანად 12 წუთი დასჭირდა, 85-ე წუთზე კი მარტინ პალერმომ პენალტი გააფუჭა.

„ბოკასთვის" ეს მეექვსე თასია და ერთითლა ჩამორჩება „ინდეპენდიენტეს".

„გრემიოს" ფანებმა მთელი ღამე იღრიალეს სასტუმროსთან, სადაც მატჩამდე იყო დაბინავებული „ბოკა ხუნიორსი", თამაშის დაწყებამდე კი სტადიონზე არგენტინის ჰიმნს უსტვინეს, მაგრამ ამანაც ვერ უშველა მასპინძლებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

# საქალბატონე ამბები

**„იუვენტუსმა"** ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიმატა. ტურინელებს სანახევროდ ისედაც ეკუთვნოდათ კრისტიან მოლინარო და ანტონიო ნოჩერინო, მაგრამ ახლა ისინი ბოლომდე გამოისყიდეს.

მოლინარო, რომელიც აქამდე „სიენაში" თამაშობდა, მარცხენა მცველია.

ნოჩერინო კი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი და პერსპექტიული ნახევარმცველია. „იუვეშ" მისი კონტრაქტის ნახევარში „პიაჩენცას" დაახლოებით 3 მილიონი ევრო გადაუხადა და ფეხბურთელთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ნოჩერინო აქამდე „აველინოში", „კატანძაროში", „ჯენოაში", „კროტონესა" და „მესინაში" ირიცხებოდა.

სამაგიეროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ბებერი ქალბატონი" დატოვა ფედერიკო ბალძარეტიმ. 25 წლის მცველი „ფიორენტინაში" გადაბარგდა და „იებთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ბიანკონერის" ექსმცველი რობერტ კოვაჩი ყველას ზაგრების „დინამოში" კი ეგონა, მაგრამ ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაშლილა. 33 წლის ხორვატმა განაცხადა, „იუვეში" ვრჩებიო, მაგრამ ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ იგი „დორტმუნდში" გადავიდა. კოვაჩს კარიერის უმეტესი ნაწილი სწორედ ბუნდესლიგაში აქვს გატარებული. თავის ახალ კლუბთან კი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

აპენინური ჟურნალ-გაზეთები იმასაც წერენ, „ბებერმა ქალბატონმა" უკვე შეათანხმა ტიაგუ მენდეშის ტრანსფერი „ლიონთან" და მალე ეს ოფიციალურად დადასტურდებაო. გავრცელებული ცნობით, „იუვე" პორტუგალიელ ნახევარმცველთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და სეზონში 3,1 მილიონ ევროს გადაუხდის, ხოლო „ლომები" 16-17 მილიონს მიიღებენ.

მალე ალბათ ოფიციალურად დადასტურდება სერხიო ალმირონის ტრანსფერიც. არგენტინელი ტურინში უკვე იყო და სამედიცინო შემოწმება გაიარა. იმასაც ამბობენ, „ბიანკონერი" „ემპოლის" გარკვეული თანხის გარდა მატეო პაროს, რეი ვოლპატოსა და სებასტიან ჯოვინკოს დაუთმობსო.

„ყველაფერმა კარგად ჩაიარა და, ვფიქრობ, არანაირი პრობლემა არ იქნება. „იუვენტუსისთვის" მზად ვარ. ახლა კი ცოტა ხნით სამშობლოში დავბრუნდები" — განაცხადა ალმირონმა.

ამის გარდა, „იუვენტუსი" თავდამსხმელის ძიებასაც აგრძელებს და კანდიდატებს შორის კვლავ არის მილანელი ალბერტო ჯილარდინო. ეს ფეხბურთელის აგენტმაც დაადასტურა.

„ტურინელებმა ნათლად დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, ისინი ალბერტოთი დაინტერესებულნი არიან. თუმცა არსებობს რამდენიმე ბარიერი. „მილანი" 30 მილიონ ევროს ითხოვს, რაც „იუვენტუსს" ეძვირება და ჯერ დავიდ ტრეზეგეს საკითხი აქვს მოსაგვარებელი, რაც ადვილი არ არის. ამიტომ, ძალიან ადრეა რაიმე კონკრეტულზე საუბარი. თან „როსონერის" ჯილას შენარჩუნება უფრო უნდა, ვიდრე გაყიდვა და მასაც ასეთი განწყობა აქვს. თუმცა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორ თვეზე მეტი დარჩა და ჯერ არავინ იცის, რა მოხდება" — განაცხადა ალბერტო ჯილარდინოს წარმომადგენელმა ბეპე ბონეტომ.

**გიორგი ქაქაბაძე**



„ბებერი ქალბატონი" ჯილარდინოს არ ეშვება

## ბიანკის ნეაპოლში ელიან

**„რეჯინას"** ფორვარდი როლანდო ბიანკი „ნაპოლიში" გადადის. 24 წლის ფეხბურთელმა გასულ სეზონში 18 გოლი გაიტანა. „კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ნეაპოლელები ბიანკიში 7 მილიონ გირვანქას იხდიან. „რეჯინა" ყაბულსაა და ახლა მხოლოდ მეგოლე უნდა შეუთანხმდეს ახალ კლუბს ჯამაგირზე.

## ვენტოლას ორწლიანი

**ნიკოლა ვენტოლა** „ატალანტადან" „ტორინოში" გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 29 წლის ფორვარდის გადაბირება ტურინელებს ზამთარშივე უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

ვენტოლას ბერგამოულ კლუბთან ხელშეკრულება დაუსრულდა და გახანგრძლივება იუარა. იგი სეზონში 357 ათას გირვანქას მიიღებს.

ვენტოლამდე „ტორინომ" „პარმადან" ვინჩენცო გრელა შეიძინა.

## ფედუნის მილიონები

**მოსკოვის** „სპარტაკის" პატრონი ლეონიდ ფედუნი ახალ მწვრთნელს, სტანისლავ ჩერჩესოვს 20 მილიონ დოლარს შეჰპირდა გუნდის გასაძლიერებლად.

შეგახსენებთ, რომ ჩერჩესოვმა ოთხი დღის წინ გათავისუფლებული ვლადიმირ ფედოტოვი შეცვალა. „სპარტაკს" სჭირდება მარცხენა მცველი, ცენტრალური ნახევარმცველი და ფორვარდი.

კლუბის პირველი შენაძენი ალბათ ეზეკიელ ლავესი გახდება, რომელიც ახლა არგენტინული „სან ლორენსოს" ფორვარდია.

ჩერჩესოვის დებიუტი დღეს „სატურნთან" მატჩში შედგება.

## ტორესს ჩააკითხეს

**„ლივერპული"** უახლოეს დღეებში ფერნანდო ტორესის ტრანსფერის მოგვარებას ეცდება — წერს GOAL.COM-ი. საამისოდ, მადრიდში ინგლისური კლუბის წარმომადგენლები უკვე ჩავიდნენ.

23 წლის ფორვარდში „ატლეტიკო" 40 მილიონ ევროს ითხოვს, „ლივერპული" კი 20-ს და ლუის გარსიას სთავაზობს.

## აბონდანსიერის ფინალი

**ესპანეთის** თასის ფინალში „ხეტაფეს" ვერ დაეხმარება არგენტინელი მეკარე რობერტო აბონდანსიერი. იგი ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს, რომელიც „კოპა ამერიკისთვის" ემზადება.

აბონდანსიერის ადგილს ლუის გარსია დაიკავებს. თასის ფინალი კი ხვალ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება.

„ხეტაფეს" მეტოქე უეფას თასის მფლობელი „სევილიაა".

## შტრელერს უნდა თამაში

**„შტუტგარტისა"** და შვეიცარიის ნაკრების ფორვარდი მარკო შტრელერი „ბაზელში" გადავიდა და ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „შტუტგარტი" წლეულს ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა, მაგრამ შტრელერმა ძირითადში მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა. ფორვარდს ნაკრებში ადგილის შენარჩუნება უნდა და ამიტომაც მიაშურა „ბაზელს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 19:00 | 2 | სპარტაკი მ-სატურნი | 1.55 | 3.30 | 5.30 | 1.05 | 1.19 | 2.03 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 18:30 | 3 | დინამო მ-როსტოვი | 1.60 | 3.10 | 5.00 | 1.05 | 1.21 | 1.91 |
| 12:00 | 4 | ენერგია-ხიმკი | 1.60 | 3.10 | 5.00 | 1.05 | 1.21 | 1.91 |
| 21:00 | 5 | ყუბანი-რუბინი | 2.30 | 2.70 | 3.10 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 16:00 | 6 | ამკარი-მოსკოვი | 2.60 | 2.50 | 2.75 | 1.27 | 1.33 | 1.30 |
| 14:00 | 7 | კრილია-ცსკა მ | 3.10 | 2.90 | 2.10 | 1.49 | 1.25 | 1.21 |
| 13:00 | 8 | ტომსკი-ლოკომოტივი მ | 2.80 | 2.70 | 2.45 | 1.37 | 1.30 | 1.28 |
| 19:00 | 9 | ზენიტი-ნალჩიკი | 1.30 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.56 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **25 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 54 | გაის-აიკ | 2.60 | 3.10 | 2.30 | 1.41 | 1.22 | 1.32 |
| 21:00 | 55 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 2.80 | 3.20 | 2.10 | 1.49 | 1.20 | 1.26 |
| 21:00 | 56 | იორებრო-იურგორდენი | 2.60 | 3.10 | 2.30 | 1.41 | 1.22 | 1.32 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **25 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 68 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.35 | 3.10 | 2.55 | 1.33 | 1.22 | 1.39 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 69 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 3.50 | 3.10 | 1.85 | 1.64 | 1.21 | 1.15 |
| 22:45 | 70 | დერი-დროგედა | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 71 | გალვეი-შემროკი | 2.55 | 3.10 | 2.35 | 1.39 | 1.22 | 1.33 |
| 22:45 | 72 | დუბლინი-სლიგო | 1.90 | 3.10 | 3.45 | 1.17 | 1.22 | 1.63 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 09:00 | 84 | შიმიცუ-ურავა | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| 10:00 | 85 | კავასაკი-ივატა | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 11:00 | 86 | იჩიჰარა-ნიიგატა | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 12:00 | 87 | იოკოჰამა ფკ-კაშივა | 2.70 | 3.10 | 2.20 | 1.44 | 1.21 | 1.28 |
| 14:00 | 88 | გამბა-ტოკიო | 1.30 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.56 |
| 14:00 | 89 | კოფუ-ოიტა | 2.25 | 3.10 | 2.60 | 1.30 | 1.20 | 1.41 |
| 14:00 | 90 | კობე-ჰიროსიმა | 2.20 | 3.10 | 2.70 | 1.28 | 1.21 | 1.44 |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 10:00 | 91 | ომია-იოკოჰამა ფმ | 2.30 | 3.20 | 2.50 | 1.33 | 1.19 | 1.40 |
| 11:00 | 92 | კაშიმა-ნაგოია | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 102 | ჟუვენტუდი-ფიგეირენსე | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 110 | პარანა-სპორტ რისაიფი | 1.40 | 3.70 | 5.75 | 1.01 | 1.12 | 2.25 |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 103 | ნაუტიკო-გოიასი | 2.05 | 3.10 | 2.90 | 1.23 | 1.20 | 1.49 |
| 23:00 | 104 | პალმეირასი-ატლეტიკო პრ | 1.75 | 3.30 | 3.75 | 1.14 | 1.19 | 1.75 |
| 23:00 | 105 | კრუზეირო-ატლეტიკო მნ | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 23:00 | 106 | სანტოსი-სან პაულუ | 2.20 | 3.10 | 2.70 | 1.28 | 1.21 | 1.44 |
| 23:00 | 107 | ამერიკა-ფლუმინენსე | 2.70 | 3.10 | 2.20 | 1.44 | 1.21 | 1.28 |
| 23:45 | 109 | ინტერნასიონალი-გრემიო | 1.90 | 3.20 | 3.35 | 1.19 | 1.21 | 1.63 |
| | | **ევ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **(21) ჰოლანდია** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 203 | ჰოლანდია 21-სერბეთი 21 | 1.60 | 3.40 | 4.30 | 1.08 | 1.16 | 1.89 |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.80 | 3.20 | 3.65 | 1.15 | 1.20 | 1.70 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10054 | გაის-აიკ | 2.90 | 2.00 | 2.60 | 1.18 | 1.37 | 1.13 |
| 10055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 3.15 | 2.00 | 2.45 | 1.22 | 1.37 | 1.10 |
| 10056 | იორებრო-იურგორდენი | 2.95 | 2.00 | 2.65 | 1.19 | 1.39 | 1.13 |
| 10068 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.70 | 2.00 | 2.85 | 1.14 | 1.38 | 1.17 |
| 10069 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 3.80 | 2.00 | 2.15 | 1.31 | 1.37 | 1.03 |
| 10070 | დერი-დროგედა | 2.55 | 2.00 | 3.15 | 1.12 | 1.40 | 1.22 |
| 10071 | გალვეი-შემროკი | 2.80 | 2.00 | 2.65 | 1.16 | 1.36 | 1.13 |
| 10072 | დუბლინი-სლიგო | 2.25 | 2.00 | 3.70 | 1.05 | 1.39 | 1.29 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11054 | გაის-აიკ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11056 | იორებრო-იურგორდენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11068 | მარიეჰამნი-მიუპა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11069 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11070 | დერი-დროგედა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11071 | გალვეი-შემროკი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11072 | დუბლინი-სლიგო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14054 | გაის-აიკ | 2.00 | 1.80 |
| 14055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 2.10 | 1.75 |
| 14056 | იორებრო-იურგორდენი | 2.00 | 1.80 |
| 14068 | მარიეჰამნი-მიუპა | 1.80 | 2.00 |
| 14069 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 2.30 | 1.65 |
| 14070 | დერი-დროგედა | 1.80 | 2.00 |
| 14071 | გალვეი-შემროკი | 2.00 | 1.80 |
| 14072 | დუბლინი-სლიგო | 1.70 | 2.20 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12054 | გაის-აიკ | 1.60 | 1.80 |
| 12055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1.60 | 1.80 |
| 12056 | იორებრო-იურგორდენი | 1.60 | 1.80 |
| 12068 | მარიეჰამნი-მიუპა | 1.60 | 1.80 |
| 12069 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 1.60 | 1.80 |
| 12070 | დერი-დროგედა | 1.50 | 2.00 |
| 12071 | გალვეი-შემროკი | 1.50 | 1.90 |
| 12072 | დუბლინი-სლიგო | 1.50 | 2.00 |

### ფრეს გარეშე. (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16054 | გაის-აიკ | 1.82 | 1.82 |
| 16055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1.95 | 1.65 |
| 16056 | იორებრო-იურგორდენი | 1.82 | 1.82 |
| 16068 | მარიეჰამნი-მიუპა | 1.65 | 2.05 |
| 16069 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 2.40 | 1.45 |
| 16070 | დერი-დროგედა | 1.58 | 2.10 |
| 16071 | გალვეი-შემროკი | 1.80 | 1.85 |
| 16072 | დუბლინი-სლიგო | 1.34 | 2.80 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13054 | გაის-აიკ | 1.60 | 1.80 |
| 13055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1.60 | 1.80 |
| 13056 | იორებრო-იურგორდენი | 1.60 | 1.80 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15054 | გაის-აიკ | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15056 | იორებრო-იურგორდენი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15068 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15069 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15070 | დერი-დროგედა | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15071 | გალვეი-შემროკი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15072 | დუბლინი-სლიგო | 2.70 | 2.70 | 2.00 |

### გოლი:ლუწი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17054 | გაის-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | იორებრო-იურგორდენი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | მარიეჰამნი-მიუპა | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | დერი-დროგედა | 1.85 | 1.95 |
| 17071 | გალვეი-შემროკი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | დუბლინი-სლიგო | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

რაგბი

# ვიქტორ დიდებულიძე: ნიკოლა ფულკიემ გაგვაცოცხლა თაობა მოდის ბურჯივით



საქართველოს ნაკრებმა ბუქარესტში დასრულებული მსოფლიოს ერთა თასი წარმატებით რომ მოიარა, ძველი ამბავია. ერთხელაც ვთქვათ, რომ სადებიუტო ტურნირზე ჩვენმა „ლელოებმა" დამაჯერებლად მოუგეს ნამიბიას, რომელიც წლევანდელ მსოფლიოს თასზე ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს მთავარი მეტოქეა. მერე ქართველები ღირსეულად ეთამაშნენ სამხრეთ აფრიკის „მზარდ ნაკრებს" და ბოლოს მოუგეს იტალიის მეორე გუნდს. აქვე ვთქვათ, რომ ფრანგული კლუბების სიჯიუტისა და ტრავმების გამო ჩვენები ლამის მესამე შემადგენლობით ჩავიდნენ ბუქარესტში.

ახლა ნაკრების წევრები ისვენებენ, ზოგი თბილისში, ზოგიც საფრანგეთში აგვარებს პირად და საკონტრაქტო პრობლემებს. მსოფლიოს თასისთვის მზადების მეორე ეტაპზე „ლელოები" 9 ივლისს თბილისში შეიკრიბებიან და ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე იმუშავებენ. ჩვენ საფრანგეთში დავუკავშირდით საქართველოს უგამოცდილეს მორკინალს ვიქტორ დიდებულიძეს და პირველად დასრულებულ მსოფლიოს ერთა თასზე ვკითხეთ

— მსოფლიოს თასისთვის მზადებაში ეს ტურნირი პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. რაც მთავარია, სამი მატჩი ვითამაშეთ, თანაც ისეთ მეტოქეებთან, რომელთა ტესტ-მატჩზე დაყოლიება სხვა შემთხვევაში გაგვიჭირდებოდა. ერთი ეგაა, მსაჯები ვერ იყვნენ მთლად კარგად შერჩეულნი.

— მსაჯებზე მართლაც ბევრი ითქვა...

— ნამიბიასთან და სამხრეთ აფრიკასთან იტალიელმა კარლოს დამასკომ გვიმსაჯა, რომელსაც კარგად ვიცნობთ. მას ევროპის ერთა თასზე ჩვენი თამაში რამდენჯერმე განუსჯია. დამასკოს არასდროს მოვლიოდით თვალში და მისგან მიკერძოებას მიჩვეულები ვართ. აი, ინგლისელმა რობ დიბნიმ კი ყველა მოლოდინს გადააჭარბა. იტალიასთან ისეთი ჯარიმები გამოგვიგონა, მეტოქესაც კი გაუკვირდა. გასაქანი არ მოგვცა, მაგრამ ბიჭებმა თავი დადეს და მსაჯიანად მოვუგეთ იტალიას.

— ახალბედების თამაშით კმაყოფილი ხართ?

— ორი-სამი მოთამაშე პირველად ვნახე ამ ტურნირზე. იცით, ძირითადი შემადგენლობის თორმეტი მორაგბე გვაკლდა და თავიდან ცოტას ვნერვიულობდით. არ იცი, ახლები როგორ შეეწყობიან გუნდს, თან ამ შემადგენლობით არასდროს გვეთამაშა. თუმც, მართლაც რომ გავოცდი. ძალიან კარგი თაობა მოდის. განსაკუთრებით პერსპექტიული და საიმედო მორკინალები არიან. დაჩი ყუფარაძე და ირაკლი ჭყონია ჯერ ოცი წლისაც არ არიან და თავიანთზე გამოცდილ და კუნთმაგარ ბურჯებს იქით მიაწვნენ. პირველივე მატჩში ნამიბიას რომ მოვუგეთ, მერე უკვე ჩვენი თავის ვირწმუნეთ, ახალბედებიც აღარ ნერვიულობდნენ და სამხრეთ აფრიკასთან ღირსეულად თამაშის შემდეგ იტალიის „ა" ნაკრებსაც ძალიან პრინციპული მატჩი მოვუგეთ. არადა, ამ იტალიიდან შვიდი კაცი მსოფლიოს თასზე ითამაშებს. იტალიური რაგბის დონე კი, მოგეხსენებათ, ძალიან მაღალია.

— ტურნირზე რუმინეთის და ნამიბიას გარდა ყველა ქვეყანა მეორე გუნდით თამაშობდა. ამის გათვალისწინებით იგივე იტალია ძალიან ალემატება საქართველოს?

— არა. თუ ჩვენ სწორი მიმართულებით გავაგრძელებთ განვითარებას, დამიჯერეთ, იტალიას და მის დარ გუნდებს მალე დავეწევით. თანაც გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ძალიან ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე გვაკლდა.

— მსოფლიოს თასისთვის საქართველოს ნაკრები კიდევ მოუმატებს?

— რა თქმა უნდა, თანაც ამ ტურნირის ჩათვლით ნაყოფიერი და მიზანმიმართული შეკრებები გვექნება. ნაკრების ახალდანიშნული კონსულტანტი ანრი ბრონკანის გამოცდილებაც დაგვეხმარება. ცალკე მინდა ვთქვა ფიზმომზადების მწვრთნელ ნიკოლა ფულკიეზე. თავისი საქმის პროფესიონალია და სასწაულებს ახდენს. გადამღლელი სეზონის შემდეგ გამოფიტული მორაგბეები „გააცოცხლა".

**ბაჩო სვანიძე**

ჭადრაკი

# დიდი რვიანი და ტოპალოვის შანსი



**ვესელინ ტოპალოვმა** შესაძლოა, სექტემბერში მექსიკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ შარშან ოქტომბერში ბულგარელმა დიდოსტატმა ვლადიმირ კრამნიკთან ჩემპიონობა დათმო და ამით მექსიკის საგზურიც დაკარგა.

მისი მენეჯერის სილვიო დანაილოვის აზრით, ტოპალოვს უსამართლოდ მოექცნენ და დაჩაგრეს.

„ვფიქრობ, რომ ტოპალოვს აქვს მორალური და იურიდიული უფლება, რომ მექსიკაში ითამაშოს. ფიდეში ორჯერ გავაგზავნეთ დოკუმენტები და ბულგარეთში მატჩრევანში მოვითხოვეთ, თუმც ფედერაციამ ყურები არ შეიბერტყა" — განაცხადა დანაილოვმა.

ფიდეს პრეზიდენტის თანაშემწე ბერიკ ბალგაბაევი იმედოვნებს, რომ ყველაფერი მოგვარდება და ტოპალოვი მექსიკაში ითამაშებს.

„ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე ვეცდებით, რომ ტოპალოვი მსოფლიოს ჩემპიონატზე დავუშვათ. მისი როლი ჭადრაკის განვითარებაში დიდია და თუ მექსიკაშიც იქნება, ამით ტურნირს დიდ ინტერესს შესძენს" — განაცხადა ბალგაბაევმა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ 8 დიდოსტატი გამოვა და თუ ტოპალოვიც დაუშვეს, იგი მეცხრე იქნება. მექსიკაში ითამაშებენ რუსები, ვლადიმირ კრამნიკი, ალექსანდრ მოროზევიჩი, პიოტრ სვიდლერი და ალექსანდრ გრიშჩუკი, ასევე ინდოელი ვიშვანათან ანანდი, სომეხი ლევონ არონიანი, უნგრელი პეტერ ლეკო და ებრაელი ბორის გელფანდი.

ერთ-ერთი მონაწილე, კერძოდ სვიდლერი უკმაყოფილოა ტოპალოვის დამატებით და მიაჩნია, რომ ყველაფერი უცვლელად უნდა დარჩეს.

„არ მომწონს, როცა ფიდე თავის რეგლამენტს ცვლის. თუ ტოპალოვს მექსიკაში თამაშის უფლებას დართავენ, ამას არ გავაპროტესტებთ და ყველანი ვითამაშებთ, მაგრამ ტურნირის ფორმატის შეცვლას მაინც არ მივესალმები" — განაცხადა რუსმა.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ჯერ ანანდი, მერე კრამნიკი

**ხვალ** დორტმუნდში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სუპერტურნირი იწყება. გათამაშება ოცდამეთხუთმეტედ ტარდება, სიძლიერით კი მე-20 კატეგორიისაა და მასში პლანეტის 8 უძლიერესი მოჭადრაკე ითამაშებს: ვლადიმირ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი, შაჰრიარ მამედიაროვი, პეტერ ლეკო, ბორის გელფანდი, არკადი ნაიდიჩი, მაგნუს კარლსენი და ევგენი ალექსეევი.

ფავორიტი ანანდია. ინდუსმა წლეულს ლინარესის სუპერტურნირი მოიგო და ფიდეს რეიტინგშიც პირველ ადგილზე მოექცა. ანანდმა დორტმუნდში ერთხელ, 2004-ში იმარჯვა და ალბათ ამ შედეგს წლეულსაც გაიმეორებს.

ფავორიტებში მეორე მსოფლიოს ჩემპიონი კრამნიკია. 31 წლის მოჭადრაკე ფიდეს რეიტინგში მესამეა და დორტმუნდში მუდამ კარგად თამაშობს. კრამნიკმა აქ შარშან იმარჯვა, საერთოდ კი სუპერტურნირი შვიდჯერ აქვს მოგებული.

ტურნირის ორგზის გამარჯვებული ლეკო მესამეა. სექტემბერში უნგრელს მსოფლიოს ჩემპიონატი ელის და დორტმუნდში თამაში მისთვის კარგი რეპეტიცია იქნება.

მასპინძელთა ერთადერთი მონაწილე, 21 წლის ნაიდიჩიც ფავორიტებშია. გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა სუპერტურნირი შარშანწინ მოიგო, თამაშსაც თანდათან მოუმატა და თანამემამულეებს მისი წლეულსაც ეიმედებათ. სპეციალისტთა აზრით, დარჩენილ მონაწილეებს გამარჯვების მცირე შანსი აქვთ, თუმც სიურპრიზებს მათგანაც ელიან.

**ლაშა გეგეჭკორი**


ალექსეი შიროვმა (მარცხნივ) ლუკ ვან ველისთან თეთრი ფიგურებით წააგო

# კირსან ილუმჟინოვმა ყირიმით გაიხარა და ყირიმელები გაახარა

**უკრაინაში,** ყირიმის ნახევარკუნძულზე, სანატორიუმ ფოროსში „აეროსვიტის" ტურნირი მიმდინარეობს. გათამაშების სპონსორი უკრაინული ავიაკომპანია „აეროსვიტია" და საპრიზო ფონდი 110 ათასი დოლარი აქვს. თანხა ყველა მონაწილეს შეხვდება, თუმც საუკეთესოები მეტს მიიღებენ.

ტურნირი მეორედ ტარდება, სიძლიერით კი მე-18 კატეგორიისაა და მასში 12 დიდოსტატი მონაწილეობს. აი სიაც: პიოტრ სვიდლერი, ვასილ ივანჩუკი, დმიტრი იაკოვენკო, ალექსეი შიროვი, ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ, კრიშნან საშიკირანი, პაველ ელიანოვი, სერგეი კარიაკინი, სერგეი რუბლევსკი, ლენერ დომინგესი, ლუკ ვან ველი და ალექსანდრ ონიშჩუკი.

შეჯიბრის გახსნას ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვიც დაესწრო და ორგანიზატორები დიდად შეაქო.

„აქ შარშანაც ვიყავი და მეგონა, ყველაფერი ამით დასრულდებოდა. მიხარია, რომ ტურნირი ტრადიციული გახდება. 24-ში ტალინში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაა და ვეცდებით, ეს ტურნირი ფიდეს საერთაშორისო კალენდარში შევიტანოთ. აქ პროფესიონალები ჭადრაკით ფულს აკეთებენ. პირველადგილოსანი 20 ათასით გამდიდრდება, მეორე კი 15 ათასით. ეს კი ჭადრაკისთვის სოლიდური თანხაა" - განაცხადა ილუმჟინოვმა.

ამასობაში კი ტურნირზე უკვე სამი ტური მიილია და ცხრილს ორ-ორი ქულით ერთბაშად ოთხი მოჭადრაკე ლიდერობს. მეორე ტურამდე აეროსვიტს ერთპიროვნულად შიროვი პირველობდა, მაგრამ მესამეში თეთრი ფიგურებით ვან ველთან წააგო და სამი დიდოსტატი გვერდით მოისვა: კარიაკინი, იაკოვენკო და ივანჩუკი.

**ლაშა გეგეჭკორი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ხელი ანგელოზისა



ივანე ვაჩნაძე

„ცხენოსნობა დაითხდა!“ — ასე აფასებენ თურმე ხატოვნად ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში, საცხენოსნო სპორტის დიდ აღმავლობას. ეს ერთნაირად ეხება როგორც ცხენთგამოცდის დოღებსა და კლასიკურ სახეობებს, ისე ხალხურ მხედრულ ხელოვნებას, საყმაწვილო სკოლებისა და მოყვარულთა და პროფესიონალთა ნაირნაირი კლუბების საქმიანობას.

ცხადია, ამ დღევანდელი „გაჭენებული ცხენოსნობის“ გულის ფეთქვა, თუკი სადმეა, სომიურში უნდა იგრძნობოდეს, რომლის საცხენოსნო სკოლის კედლებში თუ მოედნებზე II მსოფლიო ომის შემდეგ 1976 წლამდე მოღვაწე ქართველი მხედრის სახელმა სასურველი კეთილგანწყობილება მოუპოვა იქ შარშანდელი შემოდგომიდან სპორტული კლასის ასამაღლებლად ჩასულ ზურაბ ჭინჭარაძეს. მას უკვე სამჯერ შევეხმიანეთ; სომიურის მეოთხე ზარზე უფრო საზაფხულო გამოცდების, დაბრკოლებათა გადალახვასა და სამჭიდში ზურაბისა და მისი საკუთარი ფაშატის — „ლენტეხის“ წარმატებული გამოსვლების შესახებ გვინდოდა საუბარი (ბოლო 140 სმ-იან კონკურში მან 64 მონაწილეს შორის მეორე ადგილი დაიკავა). მაგრამ „ახალი სომიურელის“ ფიქრი კვლავ საფრანგეთის არმიის მაიორის, საპატიო ლეგიონის ორგზის კავალერის ივანე ვაჩნაძის პიროვნებას დასტრიალებს...

— არ მეგონა, თუ ფრანგები ასეთ გულისხმიერებას გამოიჩენდნენ ჩვენი თანამემამულის მიმართ. რაც არ უნდა იყოს, 30 წელზე მეტი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. არადა, ვაჩნაძის უმცროს კოლეგებს, ნამონაწაფრებს თავის ვალად მიაჩნიათ, რაღაც ახალი შტრიხი შემატონ მის პორტრეტს. განსაკუთრებით გამოსათხოვარი წერილის სიტყვები ჩამრჩა, რომლებსაც, სხვადასხვანაირად, სხვებიც ხშირად იმეორებენ: „ჟან ვაჩნაძე ცხენის იდეალური მხედნელი და მწვრთნელი იყო; ჭეშმარიტად ანგელოზის ხელები ესხა!“

თუ მოვიგონებთ ცხენოსნობაში, ცხენის მართვაში მხედრის ხელების „მუშაობის“ უდიდეს მნიშვნელობას, აგრეთვე გავიხსენებთ საყოველთაოდ ცნობილ ცხენოსნურ შეგონებას: „ცხენისათვის ყველაზე მძიმე ტვირთი მხედრის ხელებია!“ — მაშინ უფრო ნათელი გახდება ამ ფრთიანი ფრაზის შემფასებლური აზრი. თუ დიდმა ფეხბურთელმა მკრეხელურად დაიმოწმა უფალი თავისი ერთი სადავო გოლის გასამართლებლად, ფრანგმა კავალერისტებმა ანგელოზს მოუხმეს, რათა თავისი უფროსი კოლეგის დიდოსტატობა და დახვეწილობა გამოეხატათ.




ზურაბ ჭინჭარაძე 2003 წელს „კავკასიის თასის“ ტურნირზე დაჯილდოებისას

ძალზე მიხარია, რომ „სარბიელის“ მკითხველს დანაპირები შევუსრულე და საიტით ვაწვდი ივანე ვაჩნაძის ერთ-ერთ ბოლო ფოტოსურათს და მისი გარდაცვალებისას საფრანგეთში გამოქვეყნებულ მოსახსენებელ წერილს.

**ნოდარ ეგრალიძე**

## კავალერიის სკოლის კომენდანტის გენერალ გინარის გამოსათხოვარი სიტყვა

# ესკადრონის უფროსს ჟან ვაჩნაძეს

ჩვენმა მეგობარმა ვაჩნაძემ დაგვტოვა.

ესკადრონის უფროსი ჟან ვაჩნაძე გარდაიცვალა სომიურის საავადმყოფოში, პარასკევს, 1976 წლის 23 აპრილს, წმინდა გიორგის დღეს და მართლმადიდებელთათვის წმინდა პარასკევს. იგი 77 წლისა იყო. რუსეთის მეფის კადეტი, 1917 წელს იბრძოდა თეთრი არმიის რიგებში, ხოლო შემდეგ თავისი სამშობლოს — საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, რომლის მხურვალე სიყვარული მთელი სიცოცხლე არ განელებია.

1921 წელს იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. სწორედ საფრანგეთში იპოვა მან ახალი სამშობლო, რომელსაც 30 წლის მანძილზე ემსახურა ფრანგული ლეგიონის რიგებში.

პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი დამკვიდრდა სომიურში; კავალერიის სკოლამ მას მიანდო რუსულის გაკვეთილები და ამ საქმეს 25 წელი ემსახურა. როგორც ოფიცერმა, გვიჩვენა მაგალითი სამართლიანობისა და სიამაყისა, უანგარო სამსახურისა.

იგი იყო უაღრესად თავაზიანი და მორიდებულად გულუხვი კაცი. გამოირჩეოდა ყურადღებით ყველას მიმართ, გულგახსნილობით.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ ამ რაინდს. რამდენიმე წლის მანძილზე იგი ყოველდღიურად ამხედრებული შემოივლიდა ბრეილისა და შარონეს ასპარეზებზე, იურვებდა ურთულეს ცხენებს, წვრთნიდა საჯინიბოს უფროსის ბედაურებსაც, რადგანაც ანგელოზის ხელი ჰქონდა. მაგრამ ახალგაზრდებსაც არ უხშობდა გზას.

მან დიდი კვალი გაავლო ლეიტენანტების მრავალ თაობაში, რომელთაგან ასაკოვნებმა უკვე დატოვეს სამსახური, ხოლო უმცროსები ახლაღა იწყებენ თავიანთ კარიერას.

იგი ყველას მოუძებნიდა მართალ სიტყვას საჭირო დროს და იცოდა, წყნარი სიტყვით როგორ მოეთოკა ყველაზე ონავარიც. ბავშვებიც ძლიერ ემადლიერებოდნენ ამ დიდი სიყვარულის გამო, იგი ინსტიქტურად ფლობდა ხელოვნებას, ყველასათვის საყვარელი პაპა ყოფილიყო.

ჩვენ საკუთარ ოჯახად მიგვიჩნევდა და სწორედ ძველი სკოლის შუაგულში, კარაბინერების კვარტალში ჰქონდა თავისი ოთახი, სადაც ცოცხლობდნენ მისი მოგონებები საქართველოზე, ფრანგულ ლეგიონზე, კავალერიაზე. სკოლა მისი სახლი იყო; ყოველ კვირადღეს მხოლოდ იმისთვის ტოვებდა, რათა სტუმრად სწვეოდა გენერალ მარგოსა და მის მეუღლეს, რომელთა სითბო და სიყვარული მას სიცოცხლის აღსასრულამდე არ მოჰკლებია.

დიდი მწუხარებით უკანასკნელად მივესალმებით თავად ვაჩნაძეს, რომელიც მთელი გულით გვიყვარდა. ჩვენი სკოლის ერთ-ერთ დარბაზს ამიერიდან მისი სახელი დაერქმევა.



# ოქრუაშვილის ოქროს დებიუტი

**მსოფლიოს** პრიზიორმა ძიუდოისტმა ადამ ოქრუაშვილმა რამდენიმე დღის წინ სუმოშიც მოსინჯა ძალა და იქაც წარმატებით გამოვიდა. 15-17 ივნისს ბუდაპეშტში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ადამმა სამი ოქროს მედალი მოიპოვა. გუშინ ამასთან დაკავშირებით სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში სპეციალური პრესკონფერენცია უნდა ჩატარებულიყო. მთავარი გმირი ჟურნალისტებთან შესახვედრად დაგეგმილზე ცოტა ადრეც მოვიდა, მაგრამ არც კამერა-მიკროფონ-დიქტოფონიანები ჩანდნენ და არც დეპარტამენტის ხელმძღვანელები. ყველა საგარეჯოში დატრიალებულ ტრაგედიაზე იყო გადართული. საბოლოოდ პრესკონფერენცია ჩაიშალა კიდეც, მაგრამ ოქრუაშვილს ბუდაპეშტური ამბები მაინც მოვაყოლეთ.

— სუმოში აქამდე მხოლოდ საქართველოს მასშტაბით გამოვდიოდი. ახლა კი საერთაშორისო დონეზეც კარგი დებიუტი მოვიწყვე. სამდღიანი ჩემპიონატის პირველ დღეს თორმეტი შეხვედრა ჩავატარე. მეორე დღეს დავისვენე, ხოლო მესამე დღეს ექვსჯერ ვიჭიდავე. ტურნირი სამ ასაკობრივ ჯგუფში ტარდებოდა და სამივეში გამოვედი. კადეტებში მძიმე წონაში გავხდი ჩემპიონი, ახალგაზრდებში ოქროს მედალი მძიმე და აბსოლუტურ წონებში მოვიგე, ხოლო უფროსებში საპრიზო ადგილამდე ერთი მოგება დამაკლდა — ბრინჯაოს შეხვედრაში დავმარცხდი.

ევროპირველობაზე საქართველოს ნაკრები ოთხკაციანი გუნდით ჩავიდა. ოქრუაშვილის გარდა მედალი თედო რთველიაშვილმაც მოიპოვა — ახალგაზრდებს შორის აბსოლუტურ წონაში მესამე ადგილზე გავიდა.

ქართველ სუმოისტებს ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატი ელით. იქამდე კი ოქრუაშვილი ისევ ძიუდოზე გადაერთვება. იქაც მსოფლიოს პირველობის სამზადისია და ადამი მძიმე წონის ერთ-ერთი კანდიდატია.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# კორიამ სასამართლოსთვის მოიცალა



**სამი წლის წინ** გილერმო კორია რეიტინგში მესამე ადგილზე იყო, ძალიან სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და ბედის სიმუხთლე რომ არა, „როლან გაროსს" აუცილებლად მოიგებდა. თუმც შემდეგ არგენტინელის საქმეები სულ უკან-უკან წავიდა და ტრავმებმა ეს სამხრეთამერიკელი იმდენად გააწამა, რომ ხეირიანად თამაშიც კი არ დასცალდა. შედეგად ახლა კორია რეიტინგში 334-ე საფეხურზეა და მორიგი ტრავმის გამო ისევ უქმადაა.

არგენტინელმაც გადაწყვიტა, რომ დრო არ დაეკარგა და ამერიკულ ნიუ ჯერსიში მდებარე ვიტამინების კომპანია „ნატურალ ნუიტრიტიონ"-ს უჩივლა — საქმე იმაშია, რომ კორიას პროფესიული კარიერის გარიჟრაჟზე, კერძოდ, 2001 წელს, როცა არგენტინელი სულ რაღაც 18 წლის იყო, სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს, რის გამოც ჩოგბურთიდან 7 თვით მოკვეთეს. სხვადასხვა გამოთვლებით, ამ პერიოდში კორიამ დაახლოებით 10 მილიონი დაკარგა და პლუს სახელიც გაუფუჭდა. არგენტინელი კი თვლიდა, რომ ყველაფერი ეს ზემოთ ნახსენები კომპანიის ბრალი იყო, რადგანაც პატაგონიელის სისხლში აკრძალული პრეპარატი სწორედ მისი რეკლამირებული „უსაფრთხო" ვიტამინის მეშვეობით აღმოჩნდა. მოკლედ, კორიამ ამ კომპანიას რამდენიმე დღის წინ უჩივლა და საჩოგბურთო სამყაროც ამ საქმისგან ხმაურიან სკანდალს ელოდა. თუმც გუშინ გაირკვა, რომ მხარეებმა ხუთსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ ყველაფერი სასამართლოს დახურული კარს უკან მოაგვარეს. რაზე შეთანხმდნენ კორიასა და „ნატურალ ნუიტრიტიონ"-ის წარმომადგენლები, უცნობია, მაგრამ მოსამართლის განცხადებით, არგენტინელი დათანხმდა ATP-ის მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილების მართებულობას, რომლის მიხედვით კომპანიის პროდუქტი არ შეიცავდა აკრძალულ პრეპარატს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამერიკული კომპანიაც რაღაც დათმობაზე (სავარაუდოდ, სერიოზულ ფინანსურ ანაზღაურებაზე) წავიდა, თორემ კორიას აგრე იოლად ვერ გააჩუმებდნენ.

# უილიამსები ისევ წყვილდებიან

**ოთხწლიანი** შესვენების შემდეგ ვინუს და სერენა უილიამსებმა ისევ გადაწყვიტეს წვილებში თამაში — შავდებმა ბოლოს ერთად 2003-ში სწორედ უიმბლდონზე იქნიეს ჩოგანი და ახლაც „სრულიად ინგლისის საჩოგბურთო კლუბის" კორტებზე გეგმავენ გვერდიგვერდ თამაშს.



„მათ ისევ გადაწყვიტეს წყვილებში გამოსვლა და ორგანიზატორებისგან მიწვევაც ანუ „უაილდ ქარდი") მიიღეს" — განაცხადა უილიამსების აგენტმა კარლოს ფლემინგმა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელ სუპერდებს წყვილებში „დიდი სლემი" აქვთ შეგროვებული — მათ უიმბლდონზე ორჯერ, 2000 და 2002 წლებში იმარჯვეს, აშშ-ს ღია პირველობასა და „როლან გაროსზე" 1999-ში იჩემპიონეს, ავსტრალიის ღია პირველობა კი 2001 და 2003 წლებში მოიგეს.

# ჰენმანმა კრიტიკოსები გააკრიტიკა



**ტიმ ჰენმანი** ყურადღებას არ აქცევს თავის კრიტიკოსებს და აცხადებს, რომ ჩოგბურთიდან წასვლას ჯერ არ გეგმავს. 32 წლის ბრიტანელი აღიარებს, რომ რეიტინგში საუკეთესოთა შორის დაბრუნება მისთვის ახლა აუხდენელი ოცნება უფროა, მაგრამ იქვე ამატებს, რომ სასლემო და სხვა ბობოლა ტურნირებზე — განსაკუთრებით უიმბლდონზე — ღირსეულად თამაში ისევ ხელეწიფება.

უკანასკნელი თვეებია, ბრიტანელი ვეტერანი ჟურნალისტების საქილიკო ობიექტად იქცა — სეზონის დასაწყისის ტრავმების გამო გაცდენის შემდეგ ჰენმანი რბილად რომ ვთქვათ, ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ზედიზედ ექვს ტურნირზე პირველ წრესაც ვერ გასცდა. ტიმმა ეს უიღბლო სერია რამდენიმე დღის წინ შეწყვიტა, როცა ნოტინგემში ამერიკელ მაიკ რასელს მოუგო. თუმც ბრიტანელი გუშინწინ დმიტრი ტურსუნოვმა წააქცია და ჟურნალისტებიც ჰენმანს ისევ მისდგნენ.

„რა თქმა უნდა, მძიმე პერიოდი მიდგას. მაგრამ ამის მიუხედავად, სულაც არ ვაპირებ დავუჯერო მომრავლებულ "ექსპერტებს" და მათ ღვარძლიან კრიტიკას" — გაბრაზებულა ჰენმანი.

„ტოპათეულში რომ ვერ დავბრუნდები, თავადაც ვხვდები. ამას წელიწადში 25-მდე ტურნირზე თამაში სჭირდება და ეჭვი მეპარება, ამდენს გავუძლო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩოგბურთიდან უნდა წავიდე. კიდევ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში და დიდ ტურნირებზე ჩოგნაობას ისევ მშვენივრად მოვახერხებ".

ჰენმანი დიდი იმედებით ხვდება დამდეგ უიმბლდონს და აცხადებს, რომ იქ არავისი არ ეშინია:

„ისეთივე ალტყინებით ვხვდები ამ უიმბლდონს, როგორც თუნდაც 10-12 წლის წინ. აქ თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ცენტრალურ კორტზე ყოველი ჩატარებული შეხვედრა ჩემთვის ნამდვილი სიამოვნებაა. ვფიქრობ, საკუთარი ტრიბუნების წინ ნებისმიერთან შევძლებ თანაბარ დონეზე თამაშს. დღევანდელი გადასახედიდან მგონია, რომ მინიმუმ ორი წრის გავლა უნდა მოვახერხო. შემეძლო მეთქვა, ოთხ წრესაც გავივლი-მეთქი, მაგრამ ახლა იმაზე მარჩიელობას, ერთ კვირაში რა მოხდება, აზრი არ აქვს და ასეთი შორეული პროგნოზისგან თავს შევიკავებ".

**ბახა ლომჯმვილი**



მარიონ ბარტოლი

# ტოლი ნახე, ჩოგანი შეინახე

## ბარტოლიმ დემენტიევა კორტიდან გააქრო

**კაცები.** ნოტინგემი. ბრიტანეთი. ბალახი. საპრიზო 353 450 €

**მეოთხედფინალი**

**ივო კარლოვიჩი** (სერბეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 7:6 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი** (2, რუსეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი)

**კაცები.** ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. ბალახი. საპრიზო 353 450 €

**მეოთხედფინალი**

**ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — მიხაილ ბერერი (გერმანია) 7:6 7:5; **ივან ლიუბიჩიჩი** (2, ხორვატია) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:3 6:7 6:3

**ქალები** ისტბორნი. ბრიტანეთი. ბალახი. საპრიზო 600 000 $

**მეოთხედფინალი**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ნიკოლ ვაიდიშოვა (5, ჩეხეთი) 6:2 6:2; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) 6:1 6:0; **ნადია პეტროვა** (3, რუსეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:7 7:5 6:4; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — შაჰარ პირი (6, ისრაელი) 6:3 6:4

**ქალები.** ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. ბალახი. საპრიზო 175 500 $

**მეოთხედფინალი**

**დინარა საფინა** (4, რუსეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:1 7:5

**გუშინ** ინგლისსა და ჰოლანდიაში წამოსულმა თავსხმამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ამ ორ ქვეყანაში მიმდინარე ოთხი ტურნირის სათამაშო განრიგში, რის გამოც ყველა მეოთხედფინალის ჩატარება ვერ მოესწრო.

ამის მიუხედავად, საინტერესო მაინც ბლომად იყო. ისტბორნის ქალთა ტურნირზე დატრიალებული ამბებით დავიწყოთ, სადაც ბრწყინვალედ გამოიყურება ჟუსტინ ენინი. პატარა ბელგიელი აშკარად უთავისდება ბალახს და ამ საფარზე თავს სულ უფრო კომფორტულად გრძნობს. ბელგიელი გუშინ იოლად და დამაჯერებლად გაუმკლავდა არცთუ სუსტ ნიკოლ ვაიდიშოვას, რამაც ბევრი ალბათ საბოლოოდ დაარწმუნა, ენინს წლეულს უიმბლდონის მოგება ნამდვილად რომ ხელეწიფება.

ჟუსტინმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა თინეიჯერი ჩეხი, რომელიც მატჩის ბოლოსკენ ძალიან დაბნეულად გამოიყურებოდა და გაოცებისგან მხოლოდ მხრებსღა იჩეჩდა — ენინი ბადესთან გასვლას ხომ არაფრით პატიობდა ვაიდიშოვას, მაგრამ ჩეხს არც უკანა ხაზიდან გამოსდიოდა რამე და ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. მოკლედ, ენინმა დაიმსახურა ნახევარფინალის საგზური.

აქ ბელგიელს მარიონ ბარტოლისთან მოუწევს დატაკება, რომელიც გუშინ თავის მეტოქეს კიდევ უფრო იოლად, სულ რაღაც 71 წუთში გაუმკლავდა — არადა, მეტოქე ფრანგს საკმაოდ სერიოზული ჰყავდა ელენა დემენტიევას სახით. თუმც გალმა რუსს ტანკივით გადაუარა და მხოლოდ გეიმი დაუთმო.

რუსებს ნახევარფინალში ერთი წარმომადგენელი მაინც ეყოლებათ — ნადია პეტროვამ ძალიან დაძაბულ ბრძოლაში ძლივსძლივობით გატეხა სიბილ ბამერი, თუმც ამას ბლომად ძალები შეალია, რადგანაც კორტზე ორ საათზე მეტი ირბინა.

პეტროვა ახლა ამელი მორესმოს შეხვდება — მხარბეჭიანი ფრანგი გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე გაუმკლავდა შაჰარ პირს და ახლა რუსზე ილესავს კბილებს.

მეოთხედფინალების ჯერი იყო ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშში მიმდინარე ქალთა ტურნირზეც, თუმც იქ წვიმამ ბევრს არ დააცალა კორტზე გასვლა — ერთადერთი დინარა საფინამ მოასწრო მოგება. ისე, არც ელენა იანოკოვიჩს აკლდა ბევრი, რადგანაც ალიონა ბონდარენკოს სეტი მოუგო და მეორეში 4:1 წინ იყო, მაგრამ ბუნებამ უკრაინელს მცირე შანსი დაუტოვა.

ქალებთან შედარებით, კიდევ უფრო ნაკლებად გაუმართლა კაცებს — წვიმის გამო უფრო მეტი შეხვედრა გადაიდო, მაგრამ რაც ჩატარდა, იმაზე ვთქვათ.

ჰერტოგენბოშის კაცთა ტურნირზე საინტერესო გამოდგა ექსიუგოსლავიური დერბი — კლასში სხვაობის მიუხედავად იანკო ტიპსარევიჩმა გვარიანი ბრძოლა გაუმართა გამოცდილ ივან ლიუბიჩიჩს. სერბმა მეორე სეტში ხორვატის თავქეიფობითაც ისარგებლა და ანგარიშიც გაათანაბრა. თუმც ლიუბიჩიჩმა მოახერხა კონცენტრირება და ნახევარფინალში ჟულიენ ბენეტოსთან რანდევუც გამოიწერა.

ნოტინგემში კი საინტერესო საცქერი გამოდგა ხორვატი და არგენტინელი აყლაყუდების ჯახი, რომელშიც ბალახზე თამაშს უფრო ჩვეულმა ბალკანელმა იხეირა — ივო კარლოვიჩმა 24-ჯერ ჩააეისა და ხუან მარტინ დელ პოტროს ხასიათიც წაუხდინა.

**ბახა ლომჯმვილი**

# ქალი, სანთლით საძებარი

## ამერიკულმა კალათბურთმა მანდილი დაკარგა



**ჩვენს დროში,** როცა ემანსიპაციის პროცესი კაცთა მოდგმის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს ასე თუ ისე შეეხო და ქალები რიგ ქვეყნებში პირველ პირებად ხდებიან, ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ამ მხრივ უკან იხევს.

ნბა-ს 30-გუნდიან ამქარში მხოლოდ ერთს, „ვაშინგტონ ვიზარდს" ჰყავდა მთავარ მმართველად ქალბატონი და ისიც გადადგა აგერ, ორი დღის წინ. 45 წლის სიუზან ომეილი 1991 წლიდან ედგა თავში ამ ორგანიზაციას და განაგებდა მენეჯმენტს მაშინაც კი, როცა კლუბის ერთ-ერთმა მფლობელმა მაიკლ ჯორდანმა თავად მოჰკიდა ხელი „ჯადოქრების" აღორძინებას და საკალათბურთო საქმეებში თაოსნობა დაიწყო. სიუზან ომეილი აგრეთვე გახლდათ კიდევ ერთი ვაშინგტონური კლუბის, ეროვნული ჰოკეის ლიგის მკვიდრი „კეპიტალზის" პრეზიდენტი 1999 წლამდე ანუ მანამდე, სანამ ამ ორი კლუბის მთავარი მფლობელი ები პოლინი ჰოკეის კლუბს არ გაყიდდა.

„ეს ოცი წელი სიუზანი ჩემი მარჯვენა ხელი გახლდათ — ომეილის წასვლას ეხმაურება პოლინი — ის ფანტასტიკური იყო ყველა საქმეში მას შემდეგ, რაც მოვიდა და მეც და ყველასაც ძალიან დაგვაკლდება".

სიუზანს არ დაუსახელებია წასვლის მკაფიო მიზეზი, ხოლო ჟურნალისტების კითხვაზე, ახლა რას აპირებთო, უპასუხა, რომ წარმოდგენა არ აქვს — „მიუხედავად იმისა, რომ ნბა-ში ერთადერთი ქალი პრეზიდენტი ვიყავი, მე არ ვთვლი, რომ ამ ლიგაში ქალებს გასაქანი არ აქვთ. პირიქით, ბევრ კლუბში მათ პრეზიდენტის თუ არა, რაიმე მაღალი თანამდებობა უკავიათ. ჩვენს ინდუსტრიაში ბევრი ქალია, ასე რომ, ნურავინ იტყვის, რომ ნბა-ში ქალები „ვიჩაგრებით".

**კოტე ყორშია**

### ბელგრადული ჯახაჯუხი

**სერბეთის** ჩემპიონატის ფინალური სერიის მეორე მატჩში გვარიანი დაკა-დაკა მოხდა. ოქროსთვის ძირძველი სერბული გუნდები — „პარტიზანი" და „ცრვენა ზვეზდა" შებმულან და ამათმა თამაშმა კი ჩხუბის გარეშე ჩაიაროს, ეს უფრო გასაკვირი იქნება. მატჩი სრულდებოდა, როცა ერთ-ერთ საკამათო ეპიზოდს მაყურებელთა შორის ჩხუბი მოჰყვა. ისეთი მუშტი-კრივი გახურდა, დასაშოშმინებლად პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო. თამაში ჩაიშალა და სანქციების შესახებაც მალე იმსჯელებენ სერბული კალათბურთის მამები.

### ფიზერი მაკაბიში გადავიდა



**ნბა-ში** ნაბურთავები და ერთხანს ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი მარკუს ფიზერი კარიერას თელ ავივის „მაკაბიში" გააგრძელებს. გასული სეზონი ფიზერმა ესპანურ „მურსიაში" გაატარა, სადაც საშუალოდ 19 ქულასა და 7 მოხსნას აგროვებდა. ფიზერი 2000 წელს „ჩიკაგო ბულზმა" დრაფტზე მე-4 ნომრად აირჩია და სამი სეზონი ამ გუნდში გაატარა. 2004 წლის სეზონში ის „მილუოკიში" გადავიდა, სადაც ზაზა ფაჩულიასთან მხარდამხარ თამაშობდა. ეს იყო და, ფიზერი ევროპაში გადმობარგდა, სადაც შედეგიანადაც თამაშობს და არც ფული აკლია.

### ახალი კაცი მემფისში

**„ბოსტონ სელტიქსში"** 10 წელს ნამუშევარი კრის უოლესი „კელტებს" შეელია და „მემფისში" გადაბარგდა. იგი „დათვების" გენერალური მენეჯერი იქნება და ამ გუნდს კრიზისის დაძლევაში დაეხმარება. „მემფისი" ის გუნდია, სულ მალე დიდ ნახტომს რომ გააკეთებს და ნბა-ს ბობოლებში გაერევა — ამბობს უოლესი — კლუბის ხელმძღვანელობამ საკმაოდ პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგაზრდობა შეკრიბა და ეს შედეგს მალე გამოიღებს".

### ულები გაორმაგდა

**ევროპის** მნიშვნელობით მეორე ტურნირი — ულებ-ის თასი გაფართოვდა და ახალი სეზონიდან მონაწილეთა რაოდენობა ორჯერ გაიზრდება. აქამდე იქ 24 გუნდი თამაშობდა, 2007-08 წლის სეზონში კი 48 მიიღებს მონაწილეობას. ტურნირს ახალი ქვეყნების გუნდები შეემატნენ: ჩეხეთის, ინგლისის, ესტონეთის, ჩერნოგორიის, შვეიცარიისა და უკრაინის კლუბებს აქამდე ულებ-ის თასზე არ უთამაშიათ. ივლისის ბოლოს იტალიურ ქეზელოში ამ ტურნირის კენჭისყრა გაიმართება და 48 გუნდი ჯგუფებში გადანაწილდება.

### ნაიკიდან პორტლენდში

**სპორტული** ნაწარმის გიგანტ „ნაიკის" აღმასრულებელი დირექტორი ლერი მილერი „პორტლენდის" ბიზნესოპერაციების პრეზიდენტად დაინიშნა. მის მოვალეობაში შევა ბილეთების რეალიზაცია, კორპორაციული სპონსორების მოძიება და მარკეტინგი. მილერი „ნაიკში" 10 წელი მუშაობდა, სადაც უმეტესწილად კალათბურთის ამუნიციისა და ატრიბუტიკის გაყიდვით იყო დაკავებული.

### რებრაჩამ ესპანეთი ირჩია

**ნბა-ში** ხუთი წელი ნაბურთავები სერბი ჟელკო რებრაჩა ევროპაში ბრუნდება. მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ესპანურ „პამესასთან", რომელიც მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს.

„რებრაჩა უდიდესი გამოცდილების მოთამაშეა და ჩვენს გუნდს ძალიან გამოადგება — ამბობს პამესელთა სპორტული დირექტორი ჯონი როჯერსი — ის ყოველმხრივ სრულყოფილი მოთამაშეა და როგორც შეტევაში, ასევე დაცვაშიც გამოგვადგება.

რებრაჩამ 5 სეზონი გაატარა ნბა-ში. თავიდან „დეტროიტში" თამაშობდა, მერე „კლიპერსში". იანვარში მან ზურგის ოპერაცია გაიკეთა და სეზონი ველარ ჩაამთავრა. ახლა სრულად მომჯობინდა და მომავალ სეზონს ევროპის უძლიერეს ლიგაში გაატარებს.



**ირაკლი პერტაია**





# დონ კინგის დონე

**ორიოდ** კვირის წინ ვიუწყებოდით, რომ WBC-ს ტიტულისთვის ბრძოლაზე, რომელიც ქამრის მოქმედ მფლობელ ოლეგ მასკაევსა და სავალდებულო პრეტენდენტ სამუელ პიტერს შორის უნდა გაიმართოს, მოკრივეთა შტაბები თითქოს ყველაფერზე შეთანხმდნენ. მაგრამ პრობლემები თურმე ისევ არსებობს, თუმც კრივის მოყვარულები შეგვიძლია აქვე დავაწყნაროთ, რადგან ეს ჯახი აუცილებლად შედგება.

პიტერის მენეჯერ ივაილო გაცალოვის თქმით, პრობლემა ნიგერიელის პრომოუტერ დინო დუვას პასიურობაა, რომელმაც ვერ შეძლო სპონსორების მოძებნა და WBC-ს ანგარიშზე ბრძოლის საერთო ჰონორარის 10 პროცენტის გადარიცხვა, რაც წესებით არის მიღებული. ამის გამო შეიძლებოდა ეს ჯახი არც გამართულიყო, მაგრამ პიტერს კიდევ ერთი პრომოუტერი ჰყოლია და ამ კაცის გაქნილობას თუ გავითვალისწინებთ, 29 სექტმბერს დაგეგმილი ჩხუბი აუცილებლად შედგება. პიტერის ახალი პრომოუტერი დონ კინგია, რომელიც უკვე ენერგიულად შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას და თითქმის შეუთანხმდა „მედისონ სქვერ გარდენის" ხელმძღვანელობას ბრძოლის ამ ლეგენდარულ დარბაზში გამართვაზე.

„სამუელი ძალიან უკმაყოფილოა წარმოქმნილი პრობლემებით, მაგრამ ეს მაინც არ შეუშლის ხელს მასკაევის დამარცხებაში. 29 სექტემბერს პიტერი საჩემპიონო ქამარს შემოირტყამს და შემდეგ ვლადიმირ კლიჩკოსთან ბრძოლაზე ფიქრს დავიწყებთ" — იმუქრება გაცალოვი.

ისე, ეს ბულგარელი მენეჯერი თავის მეორე ხელქვეითის WBC-ს ექსჩემპიონ სერგეი ლიახოვიჩის მომავალზეც ფიქრობს და უნდა, რომ მასკაევ-პიტერის ბრძოლის წინ რინგზე ბელარუსი გაიყვანოს.

ლიახოვიჩი ახლა WBA-ს რეიტინგში მეორე ადგილზეა და სავარაუდოდ, პირველ საფეხურზე მყოფ ნიკოლაი ვალუევს დაეტაკება. ეს თუ მოხდა, მაშინ ამ ჯახში WBA-ს სავალდებულო პრეტენდენტის ვინაობა გაირკვევა. ხოლო თუ რუსი უარს იტყვის, მაშინ ლიახოვიჩს ამავე რეიტინგში მესამე ადგილზე მყოფ ჯონ რუისთან მოუწევს რინგზე გასვლა.

# პაკიაომ სოტო დაადასტურა



**მენი პაკიაოს** პრომოუტერ ბობ არუმის განცხადებით, მისი კლიენტის მორიგი მეტოქე მექსიკელი უმბერტო სოტო იქნება. ეს ბრძოლა 6 ოქტომბერს გაიმართება. ფილიპინელი ეცდება, შური იძიოს მექსიკელზე 9 ივნისს მისი უმცროს ძმა ბობ პაკიაოს დამარცხებისთვის.

ისე, პაკიაოს ახლა სხვა რამ უფრო აღელვებს — საქმე იმაშია, რომ ვერაფრით გადაწყდა მის პრომოუტერებთან დაკავშირებული პრობლემა. შარშან ფილიპინელმა თითქმის ერთდროულად გააფორმა კონტრაქტები არუმის კომპანია „Top Rank"-სა და ოსკარ დე ლა ჰოიას კომპანია „Golden Boy Promotion"-თან. ამის შემდეგ ამ ორ კომპანიას შორის გამალებული ბრძოლა მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთან უნდა ითანამშრომლოს პაკიაომ.

თვითონ მენი ახლა არუმთან არის, მაგრამ ამ კაცმა ვერაფრით შეძლო ფილიპინელისთვის ვარსკვლავური მეტოქის გამონახვა და სოტოსთან ჯახის მოწყობა ამის შედეგია.

სამაგიეროდ, დე ლა ჰოიას ხელში უჭირავს მარკო ანტონიო ბარერას, ხუან მანუელ მარკესისა და ხუან გუზმანის კონტრაქტები, რომლებთან მატჩ-რევანშებს კრივის მოყვარულები მოუთმენლად ელიან. ჰოდა, ახლა არუმი და დე ლა ჰოია ცდილობენ, ერთმანეთში სასამართლოს გარეშე მორიგდნენ, რომ პაკიაოს სერიოზული ჯახის ორგანიზება მოუწყონ — ასე თავად მოკრივეც და პრომოუტერებიც მხოლოდ მოგებაში დარჩებიან.

**კახა ლომაშვილი**

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# ბატონის ბატონობა დასრულდა



სებასტიან ფეტელი

**წლევანდელ** საპირველფორმულო სეზონში 22 წლის ინგლისელმა დებიუტანტმა ლუის-კარლ ჰემილტონმა უკვე რამდენიმე რეკორდის დამყარება მოასწრო, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ, და ასეთ ადრეულ ასაკში უკვე მშვენიერი საჩემპიონო შანსიც გაუჩნდა.

გასულ კვირას აშშ-ის გრანპრიზე მორიგი საყმაწვილო მიღწევა დაფიქსირდა, ოღონდ ამჯერად ავტორი ჰემილტონი არ გახლავთ. 10 ივნისს კანადაში რბოლისას რობერტ კუბიცას უმძიმესი ავარიის შემდეგ „BMW-ზაუბერის" საჭესთან მისი ადგილი 19 წლის გერმანელმა სებასტიან ფეტელმა დაიკავა და მშვენივრადაც იჯირითა.

მან უკვე კვალიფიკაციისას იყოჩაღა, როცა რამდენიმე უშეცდომო ცდით 22 პილოტს შორის მეშვიდე დრო აჩვენა. მართალია, რბოლის დასაწყისშივე უფრო წინ წასვლის მცდელობისას ტრასას გადასცდა და ერთბაშად ოთხი პოზიციით ჩამოქვეითდა, მაგრამ ახალბედა ბიჭის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შემდეგ ფინიშამდე უშეცდომოდ ირბოლა და ფრიად საპატიო, მერვე ადგილი დაიკავა:

„ბედნიერი ვარ, რომ პირველივე რბოლაში შევძელი არა მხოლოდ ფინიშამდე მიღწევა, არამედ ქულის მოპოვებაც, მით უმეტეს, არცთუ ხეირიანი სტარტის შემდეგ. თავიდანვე დავაპირე ვითარების გაუმჯობესება და სხვებზე მოგვიანებით დავამუხრუჭე, მაგრამ ზედმეტი მომივიდა და ცხვირწინ მიმავალ ჰეიკი კოვალაინენის „რენოს" მოსახვევში რომ არ შევჯახებოდი, გზიდან გადავედი და პირდაპირ წავედი. ეს რომ არა, ჩვენი მანქანები ერთმანეთს შეეხებოდა და ორივესთვის რბოლა პირველივე მოსახვევში დასრულებოდა. შემდეგ ნიკო როსბერგის უკან ტრაფიკში გავიჭედე, რის გამოც ვერ შევძელი დასახული სტრატეგიის რეალიზება, თორემ შესაძლოა, ფინიშთან მეექვსე მივსულიყავი. მაგრამ მერვე ადგილიც მშვენიერია, პირველი მოსახვევის გარდა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა."

ფეტელი ინდიანაპოლისში მოპოვებული ერთი ქულით „სამეფო რბოლების" უნიკალური რეკორდის ავტორი შეიქნა. ამიერიდან იგი არის ყველაზე ყმაწვილმეფორმულე, ვინც ქულის მიღება შეძლო, ამასთან, პირველივე რბოლაში. „მოტორ სპიდვეიზე" დებიუტისას სებასტიანი 19 წლის, 11 თვისა და 14 დღის იყო.

მანამდე ყველაზე ახალგაზრდა მექულის ტიტულს ინგლისელი ჯენსონ ბატონი ფლობდა. 2000 წლის 26 მარტს თავის მეორე რბოლაში ბრაზილიის „ინტერლაგუშზე" იგი მეექვსე ადგილზე გავიდა. ფეტელმა ბატონის შვიდი წლის წინანდელი მიღწევა თითქმის სამი თვით გააახალგაზრდავა.

სებასტიანი ფორმულა I-ის ისტორიაში 622-ე პილოტია და ამასთან მეექვსე, ვისაც ასეთ ადრეულ ასაკში რბოლაში მონაწილეობა მიუღია.

ფეტელი 1987 წლის 3 ივლისს პროვინციულ ჰეპენჰაიმში დაიბადა. სხვების მსგავსად, ავტოკარიერა კარტინგით დაიწყო და მალე წარმატებასაც მიაღწია — ჯერ გერმანიის, მერე კი ევროპის ჩემპიონი გახდა. 2003 წელს ფორმულა BMW-ს სერიის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა და „წლის ახალბედას" წოდებაც დაიმსახურა. მომდევნო სეზონში ოციდან 18 რბოლის მოგებით ამ ფორმულაში პირველობა არავის დაუთმო. 2005-06 წლებში უფრო მაღალ, ფორმულა 3-ის კატეგორიაში იჯირითა და იქაც წარმატებით — „წლის ახალბედა" და ევროსერიის ვიცე-ჩემპიონი. იმავდროულად შარშან „BMW-ზაუბერის" ტესტ-მძღოლი იყო, ხოლო შუა სეზონში გუნდიდან მსოფლიოს ექსჩემპიონ ჟაკ ვილნევის გაშვებისა და მის ადგილზე კუბიცას დაწინაურების შემდეგ ბავარიული ავტოგიგანტის მესამე, სათადარიგო მრბოლი გახდა.

ათი დღის შემდეგ წლევანდელი ჩემპიონატის მორიგ, ფრანგულ ეტაპზე ექიმები კუბიცას ალბათ გაჯირითების ნებას დართავენ და სებასტიანიც მეტესტეობას დაუბრუნდება, თუმც ვფიქრობთ, აშშ-ში შთამბეჭდავი გამოსვლის გათვალისწინებით, სათადარიგოთა „სკამზე" დიდხანს არ დარჩება.

გია ახალაძე

## ყველაზე ახალგაზრდა მრბოლები

| ასაკი | მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | დებიუტი | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 19 წლის 182 დღის | მაიკ ტაქუელი | ახალი ზელანდია | ტირელი | 1980 | — |
| 19 წლის 208 დღის | რიკარდო როდრიგესი | მექსიკა | ფერარი | 1961 | — |
| 19 წლის 218 დღის | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | მინარდი | 2001 | — |
| 19 წლის 320 დღის | ესტებან ტუერო | არგენტინა | მინარდი | 1998 | — |
| 19 წლის 324 დღის | კრის ამონი | ახალი ზელანდია | ლოლა | 1963 | — |
| 19 წლის 349 დღის | სებასტიან ფეტელი | გერმანია | BMW-ზაუბერი | 2007 | 8 |
| 20 წლის 53 დღის | ედი ჩივერი | აშშ | ჰეკეტი | 1978 | — |
| 20 წლის 53 დღის | ჯენსონ ბატონი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 2000 | — |
| 20 წლის 192 დღის | პიტერ კოლინსი | დიდი ბრიტანეთი | HWM | 1952 | — |
| 20 წლის 258 დღის | ნიკო როსბერგი | გერმანია | უილიამსი | 2006 | 7 |
| 20 წლის 274 დღის | ტარსო მარკეში | ბრაზილია | მინარდი | 1996 | — |
| 20 წლის 295 დღის | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | ჯორდანი | 1993 | — |
| 20 წლის 301 დღის | ელიო დე ანჯელისი | იტალია | შედოუ | 1979 | 7 |
| 20 წლის 312 დღის | ფელიპე მასა | ბრაზილია | ზაუბერი | 2002 | — |
| 20 წლის 338 დღის | ბრიუს მაკლარენი | ახალი ზელანდია | კუპერი | 1958 | 5 |



# ჰემილტონი შუმახერის წინააღმდეგ

ჯერ რა დროს წინასაშობაო დღეებია, მაგრამ ინგლისელები თადარიგს უკვე იჭერენ.

16 დეკემბერს ლონდონში, ახალგახსნილ „უემბლის" სტადიონზე არა საფეხბურთო, არამედ ავტოჩემპიონთა შეჯიბრება ჩატარდება. ევროპაში ეს პოპულარული ზამთრის შოუ-ტურნირი ბოლო დროს პარიზში, „პარკ დე პრენსზე" ეწყობოდა, წლეულს კი ლეგენდარული „უემბლი" უმასპინძლებს.

ექვსი თვის შემდეგ გასამართ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს მეფორმულეებმა — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა და მიმდინარე სეზონის ლიდერმა, ინგლისელმა ლუის ჰემილტონმა. შოუს დამაარსებელი ფრედრიკ იუნსონი ორჯერ ესაუბრა ლუისსა და მამამის ენტონის და წინასწარი თანხმობაც მიიღო. შავკანიანი პილოტის თანამემამულე ფანებისთვის ცხადია, ძალიანაც საინტერესო იქნება, თუ როგორ შეებრძოლება მათი კერპი გერმანელ „წითელ ბარონს".

დიადმა მიხაელმაც დაადასტურა „ჩემპიონთა რბოლაში" მონაწილეობა. იგი უკანასკნელად სამი წლის წინ გამოვიდა ამგვარ გალასპექტაკლში, როცა ფინალურ სერიაში „რენოს" ამჟამინდელ პილოტ ჰეიკი კოვალაინენთან დამარცხდა.

ვარსკვლავთაგან „ჩემპიონთა რბოლაში" სხვა მეფორმულეებსაც ვიხილავთ — დევიდ კულტჰარდსა და ჯენსონ ბატონს, აგრეთვე რალიში მსოფლიოს ექსჩემპიონ კოლინ მაკრეის და „ტურინგის" კლასის ჩემპიონ ენდი პრიოლს.



# თავისი წილი მაკივენმაც აიღო




**რიგით** 71-ე „შვეიცარიის ტურის" მეოთხე ეტაპი, რომელიც ალპებში მდებარე ჯუჯა ქვეყნის, ლიხტენშტაინის დედაქალაქ ვადუცში დაიწყო და 194 კილომეტრის შემდეგ გიუბიასკოში დასრულდა, ბელგიური „ლოტოს" ავსტრალიელმა მრბოლმა რობი მაკივენმა მოიგო.

ეტაპის გამარჯვებული ჯგუფური ფინიშისას გაირკვა და ამ საქმეში კი მაკივენი ერთ-ერთი საუკეთესოა. ავსტრალიელმა, რომელმაც ერთი ეტაპი წლევანდელ „ჯირო დიტალიზეც" მოიგო, ბოლო 200 მეტრზე აჯობა ფინიშის სხვა დიდოსტატებს — იტალიელ დანიელე ბენატისა და გერმანელ ვეტერან ერიკ ცაბელს.

საერთო ჩათვლაში სურათი არ შეცვლილა. წინ კვლავაც დანიური CSC-ის ლუქსემბურგელი ფრენკ შლეკია. ლიდერთან 49-49 წამს აგებენ რუსი ვლადიმირ ეფიმკინი და მეორე ლუქსემბურგელი კიმ კირხენი. შლეკს 58 წამით ჩამორჩება ესპანელი ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე, ხოლო დანარჩენებს ლიდერი წუთზე მეტით უსწრებს.

# კაროლინა კარსკრუნაში

**ჩეხეთში** მრავალჭიდელთა ტურნირიდან მიწვევა მიიღო ქალთა შვიდჭიდის დედოფალმა, შვედმა კაროლინა კლეფტმაც და რომ ჩასულიყო, ამ რთული სახეობის ორი უცნობილესი ქალ-ვაჟი ერთმანეთს მხარს დაუმშვენებდა. მაგრამ კლეფტმა კარგა ხნით ადრე შეუთვალა ზრდილობიანი უარი ჩეხებს, რაკილა მშობლიურ შვედეთში, კარსკრუნას ტურნირში გამოსვლა ჰქონდა დაგეგმილი.

ჯერ მხოლოდ ერთმა დღემ ჩაიარა და უკვე იგრძნობა, რომ 2001 წლის შემდეგ დაუმარცხებელ კლუფტს ვერც ამჯერად შეეტოქება ვინმე სერიოზულად. არადა, ქერა შვედ გოგომ უხეიროდ დაიწყო და ბირთვის კვრისას პირველი ოთხი ცდა ისე უგერგილოდ შეასრულა, რომ ბირთვი ლამის ფეხზე დაეცა. თუმც კლუფტს კრიტიკულ მომენტებში კონცენტრაცია რომ შეუძლია, ამიტომაც გახლავთ ოლიმპიური, მსოფლიოს და კიდევ რამდენი დიდი თუ წვრილი ტურნირის ჩემპიონი და მან ეს თვისება ახლაც ჭარბად გამოამჟღავნა. მეექვსე და უკანასკნელ ცდაზე კაროლინამ ბირთვი 14,10 მეტრზე ჰკრა და მეტრზე მეტით აჯობა ყველა დანარჩენს, შემდეგ კი სიგრძეზე ხტომაშიც გამოიჩინა თავი და 6,71 მეტრზე ისკუპა. ასეთი ნახტომი კლუფტს 2005 წლის შემდეგ არ შეუსრულებია. მეორე დღეს ის ალბათ სხვა დისციპლინებშიც მოაგროვებს იმდენს, რომ არდამარცხებისთვის ეყოს.

კარლსკუნაშივე იმძლეოსნა კაცთა შორის კიდევ ერთი დიდვარსკვლავმა, მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმულმა სიმაღლეზე მხტომელმა შტეფან ჰოლმმა, თუმცა ის ერთადერთი და განუმეორებელი ნამდვილად ვერაა თავის სახეობაში, თუნდაც შვედთა შორის და ეს წლეულს ბირმინგემში გამართულ ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატზეც გამოჩნდა, სადაც 2,38 მეტრის დამძლევ შტეფანს ზუსტად 2,38-იანი ნახტომით უპასუხა კიდევ ერთმა შვედმა, სრულიად ახალგაზრდა ლინ უს ტორნბლადმა.

მაგრამ კარსკრუნში ასე მაღლა ვერც ცნობილმა შვედმა იფრინა და ვერც უცნობმა. ნიჭიერ, მაგრამ გამოუცდელ ტორნბლადს პრობლემები უკვე სრულიად უწყინარ სიმაღლეზე, 2,20 მეტრზე დაეწყო, სადაც მან პირველი ცდა გააცუდა და მეორეზელა დაძლია თამასა. ეს წაბორძიკება იქნებ შემთხვევითობად ჩაეთვალა ხალხს, მაგრამ თამასა 2,25 მეტრზე რომ შემოადებინა და სამივე ცდა გააფუჭა, მერე ყველა დარწმუნდა, მომავალი ვარსკვლავი ფორმაში ვერ არისო.

ჰოლმის მთავარ კონკურენტად კი იტალიელი ნიკოლა ჩიოტი იქცა, ვინც 2,25 დაძლია და 2,28-ს შეუცვა, მაგრამ ის აქ გაჩერდა და პირველობისკენ გზა ჰოლმს დაუთმო. თუმც განსაკუთრებით სახარბიელოდ არც ეს უკანასკნელი ხტოდა. მას სამი ცდა დასჭირდა 2,28-მეტრიანი სიმაღლის ასაღებად, აი, მომდევნო, 230-მეტრიან ნიშნულთან კი იმდენად უხეიროდ გამოიყურებოდა, რომ, მგონი, თავადაც მანამდე დაკარგა წინსვლის რწმენა, სანამ ამ არცთუ მაღალი თამასის დაძლევას შეუდგებოდა. ნახტომის შემდეგ კი, რა გასაკვირია, ჰოლმი უმაყოფილო სახით დატონით იძლეოდა კომენტარს — „იმედი მაქვს, რომ ეს ამ ზაფხულის ჩემი უარესი გამოსვლა იყო. ასეთ გადასარევ ამინდში 2,30-საც რომ ვერ დაძლევ, აბა, რაღაზე უნდა ილაპარაკო."

**კოტე ყორშია**



# უკმაყოფილო რომანის კმაყოფილი ამალა

**მრავალჭიდელთა** საინტერესო ტურნირს ჩეხეთის მომცრო ქალაქმა კლადნომ უმასპინძლა. შეჯიბრს ქომაგობა არ მოჰკლებია, რაკილა სხვა არაერთ ცნობილ მძლეოსანთან ერთად ტურნირში მონაწილეობდა მასპინძელთა სიამაყე, ათჭიდელი რომან სებრლე, რომელსაც ყველა დიდი ტურნირი მოუგია ოლიმპიადის ჩათვლით და მსოფლიოს რეკორდსმენიც გახლავთ.

სებრლეს ბოლო წლებში მთლად სასურველი გზით არ მისდიოდა საქმეები, ხან ტრავმა აწუხებდა, ხან კი მოტივაციის ნაკლებობა, მაგრამ ახლა მან თანამემამულეები არ გააწბილა, ბოლომდე დაიხარჯა და 2004 წლის ათენის ოლიმპიადის შემდეგ საუკეთესო შედეგიც აჩვენა — 10 სახეობის ჯამში 8697 ქულა დააგროვა. მაგრამ რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჩეხი მძლეოსანი უკმაყოფილო დარჩა ბოლო წლების თავისი საუკეთესო შედეგით, ამბობდა, 8800-ის ფარგლებში გამოსვლის იმედი მქონდა და 8700-იც ვერ შევასრულეო.

მრავალჭიდელთა შეჯიბრი, როგორც წესი, ორი დღე მიმდინარეობს და კლადნოშიც ასე იყო. პირველ დღეს სებრლემ ყველაფერი გადასარევად გააკეთა — სიგრძეზე 7,84 მეტრზე გადახტა, ბირთვის 16,47 მეტრზე ჰკრა და სიმაღლეზე ხტომისასაც ათჭიდელის კვალობაზე მშვენიერი ნახტომი შეასრულა, 2,12 მეტრზე გადებული თამასა დაძლია. პირველი დღის 5 დისციპლინიდან მან 4551 ქულა მოიხვეჭა. მაგრამ მეორე დღეს დარჩენილი ხუთი სახეობიდან ორი ჩაუვარდა — 110 მეტრი თარჯრბენი და ჭოკით ხტომა და პირადი გეგმაც ველარ შეასრულა. თუმც ყველაფრის მიუხედავად, მისი მწვრთნელი და ამალა სებრლეს გამოსვლით მაინც კმაყოფილები იყვნენ — კარგ ფორმაშია და მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩენილ დროშიც უფრო მოძლიერდებაო.

ჩეხეთში მრავლჭიდის ვარსკვლავები ბლომად რომ იჭედებიან, ეს ეხლაც გამოჩნდა. ორმა ადგილობრივმა ახალგაზრდამ მოახერხა ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი ლიცენზიების აღება — ტომაშ დვორაკმა 8020 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა, იოზეფ კარაში 7922 ქულით მეხუთე იყო. სებრლეს კი მთავარ კონკურენციას ყაზახი დმიტრი კარპოვი (8553 ქულა) და ფრანგი რომან ბარა უწევდნენ.

ქალთა შეჯიბრში ასეთმა მძლავრმა შემადგენლობამ ვერ მოიყარა თავი და კაცთაგან განსხვავებით ვერც მასპინძლებმა იმარჯვეს. შვიდჭიდში საუკეთესო ჩეხმა ქალმა მარი ბერეშოვამ 5303 ქულით მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. 6354-ით პირველი იყო უკრაინელი ლუდმილა ბლონსკა, რომელმაც 150 ქულით აჯობა მდევართა შორის უყოჩაღესს, პოლონელ კაროლინა ტიმინსკას.

# ჩემპიონი წმინდა კიტსის მიწიდან

**გაქანებული** სოციალიზმის დროს აღმოსავლეთ გერმანიის მომცრო ქალაქი კოტბუსი იქნებ კიდეც იყო მძლეოსანთა სამჭედლო. გდრ-ში ხომ ლამის ყოველ სპორტსმენს დოპინგით კვებავდნენ და ასე უშვებდნენ დიდ ტურნირებზე — წადით და ყველას დაუმტკიცეთ, რომ სოციალისტური გერმანია კაპიტალისტურზე უკეთესიაო.

მაგრამ გფრ-ისა და გდრ-ის გაერთიანების შემდეგ ერთი გერმანია რომ მივიღეთ, ეს ქალაქი ლამის საერთოდ წაიშალა მსოფლიო სამძლეოსნო რუკიდან. სადღაც პოლონეთის საზღვართან სარბენლად მსოფლიოს გამოჩენილი ვარსკვლავები კი არა, თვითონ გერმანელებიც არ მიდიან დიდი ხალისით და ამ კვირაშიც იქ გამართულ ტურნირზე ბევრმა გერმანელმა ვარსკვლავმა დაიზარა ჩასვლა.

თუ გერმანელებს ფეხები უკან რჩებათ, კობუსტში ხალისითაც კი ჩაფრინდა კარიბეთის პაწაწინა კუნძულ-სახელმწიფოს სენტ კიტსის მკვიდრი და თავისი ქვეყნის ყველაზე გამოჩენილი სპორტსმენი და იქნებ ყველაზე სახელგანთქმული ადამიანი კიმ კოლინზი. მძლეოსნობის სამეფო დისციპლინას, 100 მეტრზე სირბილს ვარსკვლავები არასდროს აკლდა, მაგრამ ამ ჩია ტანის მორბენალმა, შესახედავად, 100-მეტროსანს კი არა, სადმე აღმოსავლეთ აფრიკაში დაბადებულ მარათონელს რომ ჰგავს, მაინც მოახერხა და 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე — ოქროს და 2005-ში ბრინჯაოს დათრევა. კოტბუსში კოლინზს ჰკითხეს, წლეულს ოსაკას მსოფლიო პირველობაზე რაღას აპირებო, რაზეც მან მიუგო, ოქროს მოგებასო.

ღმერთმა ხელი მოუმართოს, ოღონდ სენტკიტსელი ჯერ ვერ ჩანს იმ ფორმაში, რომ ასაფა პაუელს და 100 მეტრის სხვა ზვიგენებს კუდი მოაკვნიტოს. კოტბუსში მან ეს დისტანცია მხოლოდ 10,28 წამში დაფარა და 0,03 წამით ჩამორჩა არცთუ ცნობილ სამხრეაფრიკელ კრისტიან კრონს. მერე მსოფლიოს ექსჩემპიონი თავს იმართლებდა, წლეულს ეს ჩემი პირველი ოფიციალური ტურნირი იყო, სეზონი გრძელია და ჩემი დროს თანდათან დამოკლდებაო.

საინტერესო შედეგები აღინიშნა კაცთა შორის ბირთვის კვრასა და ჭოკით ხტომაში. გერმანელმა ბირთვის მკვრელმა პეტერ საკმა ექვსი ცდიდან ხუთჯერ 20 მეტრს იქით ჰკრა რკინის ჭურვი და საუკეთესო შედეგად 20,46 ჩაეწერა, რითაც მან უყოჩეს კონკურენტ რალფ ბარტელსს 36 სანტიმეტრით აჯობა.

ბრიტანელმა ჭოკით მხტომელმა დენი ეკერმა კი ამ პატარა ტურნირს სეზონის რეკორდიც კი აჩუქა. ის 5,80 სანტიმეტრიან თამასას გადაევლო, რაც წლეულს სხვას არავის მოუხერხებია, ამასთან, ეკერმა სულ ოთხი ნახტომი შეასრულა ამ ტურნირზე.

**კოტე ყორშია**




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ქრისთაჟი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge